



დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესახებ“

(პირველი წარდგენა)



პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

2014 წ.

დასკვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი წარმოადგენს დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუციას, რომლის უმთავრესი მიზანია აღმასრულებელი ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ანალიზით, კვლევითა და შეფასებით ხელი შეუწყოს სახელმწიფო ფინანსების მართვაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას და შესაბამისად, საჯარო ფინანსების ჯანსაღ, გამჭვირვალე მართვასა და ფისკალურ მდგრადობას საშუალო/გრძელვადიანი პერიოდისათვის. ზემოაღნიშნული მანდატის სრულყოფილად შესრულების მიზნით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მისი საქმიანობისას ითვალისწინებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ დეკლარირებულ ძირითად პრინციპებს დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუციებისათვის.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე მომდევნო ფისკალური წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიზნად ისახავს:

- ერთი მხრივ, წარმოადგინოს ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიმოხილვა, მათ შორის, ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის დინამიკა გასული წლების ტენდენციების და ფისკალური პოლიტიკის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით.
- მეორე მხრივ კი, შეაფასოს კანონპროექტით გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისობა საშუალოვადიანი ფისკალური მდგრადობის კურსთან და მოკლე/საშუალოვადიანი პერიოდის ფისკალური რისკები. ზემოაღნიშნული მიზნით ალტერნატიულ წყაროებსა და დამოუკიდებელ ანალიზზე დაყრდნობით დასკვნა აფასებს კანონპროექტის საფუძვლად გამოყენებული მაკროეკონომიკური პროგნოზების საფუძვლიანობას, ასევე წარმოდგენილი მაკროეკონომიკური დაშვებების გათვალისწინებით კანონპროექტით გათვალისწინებული საბიუჯეტო აგრეგატების გეგმური მაჩვენებლების საფუძვლიანობას და ცალკეულ ფისკალურ რისკებს მაკროეკონომიკური გარემოს განსხვავებული განვითარების შემთხვევაში მომდევნო ფისკალური წლისათვის.

შინაარსი

დასკვნის შესახებ.....	2
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო და ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საშუალოვადიანი პერიოდისათვის	11
მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და დაშვებები 2014-2015 წლებისათვის	14
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	21
<i>სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები.....</i>	<i>22</i>
სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები.....	22
სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები	31
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	33
სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დინამიკა	39
ძირითადი ფისკალური ინდიკატორების დინამიკა.....	43



შემაჯამებელი მიმოხილვა

- საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი ძირითადად შესაბამისობაშია ფისკალური პოლიტიკის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ამოცანებთან საშუალოვადიანი პერიოდისათვის. კერძოდ, პრიორიტეტების მიხედვით მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით ყველა დიდი ზრდა გათვალისწინებულია რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმის (139 მლნ ლარი), ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფის (98 მლნ ლარი), განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადების (59 მლნ ლარი), სოფლის მეურნეობის (30 მლნ ლარი) პრიორიტეტებისათვის. ამავდროულად გათვალისწინებულია ბიუჯეტის როგორც საოპერაციო, ისე მთლიანი სალდოს გაუმჯობესება და ფისკალური დეფიციტის შემცირება მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2015 წლისათვის

- კანონპროექტზე თანდართული „2015-2018 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტში მოცემული 2014 და 2015 წლების საპროგნოზო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები არსებით გადახრას არ ავლენს ალტერნატიული წყაროთა მიერ მოცემულ პროგნოზებთან.
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებთან მიმართებაში, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი იზრდება 295 მლნ ლარით (3%-ით), კომპონენტების დონეზე ძირითადად შემოსავლების 611 მლნ ლარის ოდენობით (8%) ზრდის გავლენით. ამავდროულად, დაგეგმილია ვალდებულებების ზრდის (როგორც საგარეო, ისე საშინაო) მუხლით შემოსულობების შემცირება 311 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური (პრივატიზება) და ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაფარვით მიღებული სახსრები) მუხლით შემოსულობების მოცულობა, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის დონეზე, შესაბამისად, 80 და 70 მლნ ლარის დონეზე განსაზღვრული.
- წარმოდგენილი კანონპროექტით საგადასახადო შემოსავლების ჯამური მოცულობა მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 9.4%-ით. თუმცა დაგეგმვის პროცესის რეალისტურად წარმოსადგენად მიზანშეწონილია 2015 წლის წარმოდგენილი მაჩვენებლები განხილულ იქნას არა მხოლოდ 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან, არამედ მიმდინარე წლის მოსალოდნელ მაჩვენებლებთან მიმართებაში, რომლებიც ითვალისწინებს მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით მობილიზების

ტენდენციებს. საბიუჯეტო ოფისის მიერ გასული წლების მობილიზების ტენდენციებსა და ექსტრაპოლაციის მეთოდზე დაყრდნობით გაანგარიშებულ მიმდინარე წლის მოსალოდნელ მაჩვენებელთან შედარებით 2015 წლის საგადასახადო შემოსავლების ჯამური მოცულობა დაახლოებით 7.5%-ით იზრდება, რაც წარმოდგენილი მაკროეკონომიკური სცენარის გათვალისწინებით, რეალისტურად შეიძლება შეფასდეს. თუმცა საყურადღებოა გადასახადების ცალკეული ტიპების მიხედვით შემოსავლების დინამიკა. კანონპროექტით გათვალისწინებულია მოგების გადასახადის 14.2%-ით ზრდა მიმდინარე წლის მოსალოდნელ მაჩვენებელთან შედარებით, რაც გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე დამატებით დასაბუთებას საჭიროებს. რაც შეეხება გადასახადების სხვა ტიპებს, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, გასული და მოსალოდნელი ზრდის ტემპის გათვალისწინებით, შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადებისათვის კანონპროექტით წარმოდგენილია მობილიზების კონსერვატული გეგმური მაჩვენებლები.

- საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლების სრულყოფილად შეფასებისათვის ოფიციალურ მაკროეკონომიკურ პროგნოზებზე დაყრდნობით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ გაანგარიშებულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დამოუკიდებელი საპროგნოზო მაჩვენებლები. საპროგნოზო მაჩვენებლები მომზადებულ იქნა მიმდინარე 2014 წლის შემოსავლების მობილიზების სამი განსხვავებული სცენარისათვის (დეტალურად, იხ. დასკვნის შესაბამისი ნაწილი). მიმდინარე წლის 8 თვის მობილიზების ტენდენციების გათვალისწინებით გაანგარიშებული 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებლების შედარება ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილ მაჩვენებლებთან იმავე ტენდენციებზე მიუთითებს, რაზეც ზემოთმოცემული შეფასებისას იქნა აღნიშნული. კერძოდ, 2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საბიუჯეტო ოფისის მიერ გაანგარიშებული ჯამური მოცულობა შეადგენს 7,684 მლნ ლარს, რაც 2015 წლისთვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 1.3%-ით აღემატება. გადასახადების ცალკეული ტიპების მიხედვით, საპროგნოზო მაჩვენებლები წარმოდგენილია დასკვნის შესაბამის ნაწილში.

- გარდა ზემოაღნიშნულისა, დასკვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია საგადასახადო შემოსავლების სენსიტიურობის შესახებ რეალური მშპ-ს ზრდის ტემპისა და ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლების ოფიციალური პროგნოზებისაგან 1%-ითა და 0.5%-ით გადახრების შემთხვევაში მიმდინარე წლის მობილიზების ტენდენციების გათვალისწინებით საბიუჯეტო ოფისის მიერ გაანგარიშებულ 2014 წლის მაჩვენებლებზე დაყრდნობით. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, ოფიციალური საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან რეალური მშპ-ს ზრდისა ან ინფლაციის ზრდის მიმართულებით 1%-იანი გადახრის შემთხვევაში (დამოუკიდებლად), ბიუჯეტის წარმოდგენილი გეგმური მაჩვენებლისაგან საგადასახადო შემოსავლების ჯამური

მაჩვენებლის საშუალო გადახრა 2.1%-2.2%-ს უტოლდება, ხოლო 0.5%-იანი გადახრის შემთხვევაში საშუალოდ - 1.7%-ს. რაც შეეხება გადახრებს კლების მიმართულებით, რეალური მშპ-ს ზრდისა ან ინფლაციის კლების მიმართულებით 1%-იანი გადახრის შემთხვევაშიც კი, საგადასახადო შემოსავლების ჯამური მაჩვენებელი ბიუჯეტით წარმოდგენილ გეგმურ მაჩვენებელს აჭარბებს 0.4%-ით, ხოლო 0.5%-იანი გადახრის შემთხვევაში - 0.8%-ით. ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ კანონის პროექტით წარმოდგენილია საგადასახადო შემოსავლების ჯამური მაჩვენებლის კონსერვატული გეგმა *(დეტალურად გადასახადების ტიპების სენსიტიურობის შესახებ მაკროეკვლადების გადახრების მიმართ, იხ. დასკვნის შესაბამისი ნაწილი და დანართი 2).*

- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადებთან მიმართებაში, საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებით, პოზიტიურად უნდა შეფასდეს კანონპროექტზე თანდართული ცვლილება საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც ეხება ზედმეტად/შეცდომით გადახდილი შემოსულობების დაბრუნების/სხვა სახეში გადატანის შესახებ აღრიცხვა/ანგარიშგებას. კერძოდ, საბიუჯეტო კოდექსში წარმოდგენილი ცვლილებით, 49-ე მუხლის შესაბამისი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ანგარიშში არ აისახება შემოსავლების სარეზერვო ქვეანგარიშიდან დაბრუნებული სახსრების შესახებ ინფორმაცია, სრულად ამოღებულია. გარდა ზემოაღნიშნულისა, 49-ე მუხლიდან ნარჩუნდება ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსულობების კორექტირებას დაბრუნებული ან სხვა სახეში გადატანილი თანხით, რაც შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სახელმძღვანელოს (GFSM 2001) სტანდარტებს. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილება საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, ხელს შეუწყობს საგადასახადო შემოსავლების მობილიზების მდგომარეობის შესახებ ზუსტი და სამართლიანი სურათის წარმოდგენას.
- წარმოდგენილი კანონპროექტით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით, გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების შემცირება, ჯამური მოცულობით 65 მლნ ლარი, რაც ძირითადად საკუთრებიდან შემოსავლების, კერძოდ, კი დივიდენდების მუხლის გეგმის 50 მლნ ლარის ოდენობით შემცირებას უკავშირდება. გასათვალისწინებელია, რომ ერთი მხრივ, 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის დივიდენდების მუხლით მიმართულ იქნა წლიური გეგმის 0.2%. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2015 წლისათვის

- წარმოდგენილი კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური მოცულობის ზრდა გათვალისწინებულია 3%-ის დონეზე, 270 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის გათვალისწინებულია ხარჯებისა (მიმდინარე ხარჯები) და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (კაპიტალური ხარჯები) ზრდა შესაბამისად, 5%-ითა და 4%-ით. რაც შეეხება ფინანსური აქტივების ზრდას (სესხების გაცემა და აქციების/წილის ზრდა) გათვალისწინებულია აღნიშნული მუხლით გადასახდელების ზრდა 75 მლნ ლარით, როგორც სესხების, ისე აქციებისა და სხვა კაპიტალის კომპონენტებში.
- რაც შეეხება დინამიკას მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების დონეზე, 2015 წლის წარმოდგენილი კანონპროექტით, 2014 წლის წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში, ასიგნებების ზრდა გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის 24 მხარჯავი დაწესებულებისათვის (მათ შორის, 4 ახალი მხარჯავი დაწესებულება), კლების მიმართულებით იცვლება 6 მხარჯავი დაწესებულების, ხოლო 2014 წლის კანონით გათვალისწინებულ გეგმურ დონეზეა შენარჩუნებული 23 მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების მოცულობა (დეტალურად იხ. დასკვნის შესაბამისი ნაწილი).
- როგორც ანალიზით ვლინდება, იმ პროგრამებთან და ქვეპროგრამებთან მიმართებაში, რომელთა შესრულება 2014 წლის განმავლობაში შედარებით დაბალი ათვისების ტენდენციას ავლენს, კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით 9 თვის დაზუსტებული გეგმის 30%-ზე ნაკლებს შეადგენს, კანონპროექტით ძირითად შემთხვევებში გათვალისწინებულია ასიგნებების შემცირება ან შენარჩუნება იმავე დონეზე.
- რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით, საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ჯამური მოცულობა მცირდება 43 მლნ ლარით, ძირითადად საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის პროგრამის 175 მლნ ლარის ოდენობით შემცირების გავლენით, თუმცა ამავდროულად გათვალისწინებულია საშინაო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების (კერძოდ კი საპროცენტო ხარჯების) ზრდა 46 მლნ ლარის ოდენობით. კანონპროექტით გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების ზრდა მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით 54.1 მლნ ლარის ოდენობით, ანალოგიურად 50 მლნ ლარის ოდენობით იზრდება და 300 მლნ ლარის ოდენობითაა განსაზღვრული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი. რაც შეეხება სარეზერვო ფონდებს, 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით



გათვალისწინებულია პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობის შენარჩუნება 5 მლნ ლარის დონეზე, თუმცა მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით 20 მლნ ლარით იზრდება და 70 მლნ ლარის დონეზე განსაზღვრული მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დინამიკა

- საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 1,320 მლნ ლარის დონეზე, რაც მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებელზე 19.3%-ით ნაკლებია. აღნიშნული უკავშირდება საშინაო ვალდებულებებისა (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) და საგარეო ვალდებულებების (სესხები) მუხლით შემოსულობების შემცირებას, შესაბამისად 200 მლნ-თა და 116 მლნ ლარის ოდენობით. ანალოგიურ ტენდენციას ავლენს ვალდებულებების კლების კომპონენტი, რომელიც 188 მლნ ლარით მცირდება, ძირითადად საგარეო ვალდებულებების დაფარვის შემცირების გავლენით.
- საგარეო ვალდებულებების ზრდის ნაწილში კანონპროექტი ითვალისწინებს საინვესტიციო კრედიტების მობილიზებას ჯამური მოცულობით, 680 მლნ ლარი, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ „Stand-By Arrangement (SBA)“-ის ფარგლებში საქართველოსათვის გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი ახალი საკრედიტო რესურსიდან 2015 წლისათვის ჩამოსარიცხი სახსრების მიღებას 20 მლნ სპეციალური ნასესხობის უფლების ოდენობით და 2014 წლის 9 ივლისის ხელშეკრულებების საფუძველზე კონკურენტუნარიანობისა და ზრდის განვითარების პოლიტიკის მესამე ღონისძიების დაფინანსების ფარგლებში განვითარების საერთაშორისო ასოციაციისა და განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკი) მიერ საქართველოსათვის გამოსაყოფი საფინანსო რესურსის მოცულობას 7.8 მლნ ნასესხობის სპეციალური უფლებისა და 6.8 მლნ ნასესხობის სპეციალური უფლებისა და 70 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.
- რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების დინამიკას, დაგეგმილია საშინაო ვალდებულებების ზრდის (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) მუხლით შემოსულობების შემცირება მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით 400 მლნ ლარის დონემდე. აღნიშნული უკავშირდება იმ ფაქტს, რომ კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის 200 მლნ ლარის ოდენობით სახაზინო ობლიგაციებისა და ვალდებულებების გამოყენება, რაც 2014 წლის ბიუჯეტის კანონით იყო განსაზღვრული. 400 მლნ ლარის წმინდა ზრდა, აღრიცხვის არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით, ითვალისწინებს 2015 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად სახელმწიფო

საშინაო ვალდებულებების ზრდას 897 მლნ ლარის, ხოლო დაფარვას – 497 მლნ ლარის ოდენობით. რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვას, აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წლისათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით 46 მლნ ლარით იზრდება, ძირითადად საპროცენტო ხარჯების ზრდის გავლენით.

- წარმოდგენილი კანონპროექტით. მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში ვალის კოეფიციენტი 34.7%-იდან 35.6%-მდე იზრდება, თუმცა მცირედით იცვლება სახელმწიფო ვალის სტრუქტურა, კერძოდ, მცირდება სახელმწიფო საგარეო ვალის კოეფიციენტი მშპ-სთან მიმართებაში 27.2%-დან 26.8%-მდე.

ძირითადი ფისკალური ინდიკატორების დინამიკა

- 2015 წლისათვის დაგეგმილია ბიუჯეტის მთლიანი და საოპერაციო სალდოს გაუმჯობესება, როგორც ნომინალურ გამოსახულებაში, ისე %-ად მშპ-სთან, რაც შეესაბამება ფისკალური კონსოლიდაციის გაცხადებულ მიზნებს. კერძოდ, გათვალისწინებულია მთლიანი სალდოს 228 მლნ ლარით და მშპ-ს -3.0%-დან მშპ-ს - 2.0%-მდე გაუმჯობესება. ანალოგიურად, შემცირების ტენდენციას ავლენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის 1986 წლის სტანდარტების შესაბამისად გაანგარიშებული ფისკალური ბალანსის მაჩვენებელი, რომელიც 2014 წლისათვის -3.9%-ს, ხოლო 2015 წლისათვის - 2.9%/3% -ს შეადგენს, რაც შეესაბამება საკანონმდებლო საბუღალტრო („ეკონომიკური თავისუფლების აქტით“) განსაზღვრულ ფისკალურ ლიმიტებს.
- აღნიშნული მიმართულებით, პოზიტიურად უნდა შეფასდეს საბიუჯეტო კოდექსში წარმოდგენილი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. ფისკალური რისკი განიმარტება, როგორც ფისკალური აგრეგატების გადახრები იმ მოსალოდნელი მაჩვენებლებისაგან, რომლებიც განისაზღვრა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ან ფისკალური პროგნოზების ფორმირებისას. ფისკალური რისკების ძირითად წყაროებად გამოყოფენ მაკროეკონომიკური ცვლადების მოულოდნელ ცვლილებას, მათ შორის სახელმწიფო ვალის სტრუქტურასთან კავშირში, და სახელმწიფოს პირობით ვალდებულებებს. რიგ შემთხვევებში ფისკალური რისკების გაუთვალისწინებლობა, მაგალითად, მაკროეკონომიკური გარემოს მოულოდნელი განვითარების შედეგად სახელმწიფოს დამატებითი დანახარჯები, ან გადახრები შემოსავლების მოსალოდნელი დონიდან, იწვევს სახელმწიფოს ვალდებულებების ზრდას, რეფინანსირების სიმძნელებს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მოკლე და საშუალოვადიან ფისკალურ მდგრადობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევაზე დაყრდნობით, ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა/გამჭვირვალობა პოზიტიურ კავშირშია ქვეყნის სუვერენულ საკრედიტო

რეიტინგთან და მის წვდომასთან საერთაშორისო კაპიტალურ ბაზრებზე. ზემოაღნიშნულისა და ფისკალური რისკების შესახებ მეტი გამჭვირვალობის მიმართულებით ბოლო წლებში გამოვლენილი მზარდი საერთაშორისო ინტერესის გათვალისწინებით¹, საბიუჯეტო კოდექსში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ცვლილება პოზიტიურად უნდა შეფასდეს.



¹ იხ. ფისკალური გამჭვირვალობის უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო და კოდექსი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი(IMF Code and Manual of Good Practices on Fiscal Transparency (2001, 2007)); ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიმართულებით(The OECD Best Practices for Budget Transparency (2001)).

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო და ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საშუალოვადიანი პერიოდისათვის

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის ანალიზისათვის უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განხილულ იქნას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო საშუალოვადიანი პერიოდისათვის, რაც შესაბამისი მიზნობრივი მაჩვენებლებით ასახულია „ქვეყნის განვითარების სტრატეგია- საქართველო 2020“-ში. კერძოდ, ზემოაღნიშნულ დოკუმენტში სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და საგარეო რისკების მართვის მიმართულებით მითითებულია:

- **ფისკალური კონსოლიდაცია** - აღნიშნული პოლიტიკის მიზანია 2017 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის 2.5%-მდე, ხოლო 2020 წლისათვის 1.5-2%-ზე ნაკლებ მაჩვენებლამდე შემცირება.
- **ფასების სტაბილურობა** - გრძელვადიანი სასურველი ინფლაციის მაჩვენებელი 3%-ია. საქართველოს ეროვნული ბანკი 2015 წლამდე ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის 5%-მდე, 2017-2018 წლებში კი - 3% -მდე შემცირებას ისახავს მიზნად.
- **სახელმწიფო ვალის მდგრადობა** - საქართველოს მთავრობის მიზანი საშუალო და გრძელვადიან პერიოდში არის საქართველოს სახელმწიფო ვალის სტაბილური დონის შენარჩუნება მშპ-ის 40%-ის ქვემოთ.
- **საგადასახადო პოლიტიკა** - მიმდინარე საგადასახადო წნეხის პრაქტიკა მომავალშიც იქნება შენარჩუნებული.
- **მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანმიმდევრული შემცირება** - 2020 წლამდე საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული მიზანია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 6% -იანი მაჩვენებლის და შემდგომი მისი კლების ტენდენციის მიღწევა.
- **ვალის სტაბილიზირების შესაბამისი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დონის შენარჩუნება** - მთლიანი საგარეო ვალის მშპ-თან მიმართება მაღალია. საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია თავდაპირველად სტაბილური გახადოს და შემდგომში კი შეამციროს ეს მაჩვენებელი.
- **გარე ბუფერი** - ინფლაციის ტარგეტირებისა და მოქნილი გაცვლითი კურსის პოლიტიკის პირობებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიზანია ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების მინიმალური დონის იმპორტის 3.5-4 თვის ჯერად მაჩვენებელზე შენარჩუნება.
- **გაცვლითი კურსი** - მონეტარულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს საქართველოში, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, რეალური გაცვლითი კურსის გამყარება მწარმოებლურობის ზრდის ტემპზე ნაკლები ტემპით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე თანდართული ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს მოსალოდნელი ტენდენციების გათვალისწინებით, განსაზღვრავს საშუალოვადიან ფისკალურ გეგმას. 2015-2018 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მითითებულია, რომ „2015-2018 წლებისთვის **ფისკალური პოლიტიკის ამოცანებს** წარმოადგენს:

- სახსრების მიმართვა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორცაა საპენსიო უზრუნველყოფა, სოციალური სფერო, ჯანდაცვა განათლება,

სოფლის მეურნეობა, ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვისა და მოსახლეობის დასაქმებისათვის;

- ბიუჯეტის დეფიციტის ნიშნულის ისეთი მოცულობის ფარგლებში შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი სრულყოფა“.

საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი ძირითადად შესაბამისობაშია აღმასრულებელი ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის ამოცანებთან საშუალოვადიანი პერიოდისათვის. კერძოდ, პრიორიტეტების მიხედვით მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით ყველაზე მასშტაბური ზრდა გათვალისწინებულია რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმის (139 მლნ ლარი), ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფის (98 მლნ ლარი), განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადების (59 მლნ ლარი), სოფლის მეურნეობის (30 მლნ ლარი) პრიორიტეტებისათვის. ამავდროულად გათვალისწინებულია ბიუჯეტის როგორც საოპერაციო, ისე მთლიანი სალდოს გაუმჯობესება და ფისკალური დეფიციტის შემცირება მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით *(აღნიშნული საკითხები დეტალურად განხილულია დასკვნის შესაბამის თავებში)*.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა, რომ „ქვეყნის განვითარების სტრატეგია-საქართველო 2020“-ში ინსტიტუციურ საკითხებსა და საჯარო პოლიტიკის მართვის ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფის მიმართულებით სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნულია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების გეგმავს უზრუნველყოს:

- ბიუჯეტის ყოვლისმომცველობა - ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ყოვლისმომცველი ხასიათი, მან უნდა მოიცვას საქართველოს მთავრობის ყველა ხარჯი და შემოსავალი.
- ფისკალური რისკების მონიტორინგის სისტემა - საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს ფისკალური რისკების მართვის ეფექტიან სისტემას - რისკების გამოვლენის, შეფასებისა და ნეგატიური ეფექტების შემსუბუქების მიზნით.
- გრძელვადიანი ფისკალური დაგეგმვა - ფისკალური მდგრადობის მისაღწევად საშუალოვადიანი გეგმები იქნება გამოყენებული. საქართველოს მთავრობა გააუმჯობესებს პროგრამული ბიუჯეტების შეიმუშავებისა და მიღების პროცესს.
- ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის გამოყენება კაპიტალური პროექტების შეფასებისას, რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანობის ზრდას განაპირობებს.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებით, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტთან ერთად წარმოდგენილი ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსში. ზემოაღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს ერთი მხრივ, ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში ყველა დონის ბიუჯეტის და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის (მათ შორის სსიპ-ებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების) შემოსულობებისა და გადასახდელების მოქცევას. კონსოლიდირებული ანგარიშგება განხორციელდება დამატებით ერთიანი მთავრობის ბიუჯეტის, ცენტრალური ბიუჯეტის, ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტის, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის და ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი

რესპუბლიკური ბიუჯეტის კონცეფციების შემოღებით, რომლებიც გამოყენებულ იქნება შესრულების შესახებ ანგარიშგებისას, თუმცა არ დამტკიცდება არცერთი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

ასევე ცალკე უნდა გამოიყოს, რომ წარმოდგენილი ცვლილებით გათვალისწინებულია ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად. საერთაშორისო პრაქტიკით², ფისკალური რისკი განიმარტება, როგორც ფისკალური აგრეგატების გადახრები იმ მოსალოდნელი მაჩვენებლებისაგან, რომლებიც განისაზღვრა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ან ფისკალური პროგნოზების ფორმირებისას. ფისკალური რისკების ძირითად წყაროებად გამოყოფენ მაკროეკონომიკური ცვლადების მოულოდნელ ცვლილებას, მათ შორის სახელმწიფო ვალის სტრუქტურასთან კავშირში, და სახელმწიფოს პირობით ვალდებულებებს. რიგ შემთხვევებში ფისკალური რისკების გაუთვალისწინებლობა, მაგალითად, მაკროეკონომიკური გარემოს მოულოდნელი განვითარების შედეგად სახელმწიფოს დამატებითი დანახარჯები, ან გადახრები შემოსავლების მოსალოდნელი დონიდან, იწვევს სახელმწიფოს ვალდებულებების ზრდას, რეფინანსირების სიმძნელებს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მოკლე და საშუალოვადიან ფისკალურ მდგრადობას. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული დოკუმენტები ამ ეტაპზე, მოიცავს მხოლოდ საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ საპროგნოზო მაჩვენებლებს. თუმცა არ მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო აგრეგატების ფორმირებისას გამოყენებული საბაზისო მაკროეკონომიკურ დაშვებებთან დაკავშირებული რისკებზე და აღნიშნული რისკების რეალიზაციის შემთხვევაში, მათი ზეგავლენის შესახებ საბიუჯეტო აგრეგატებზე, როგორც დასაგეგმი წლისათვის, ისე საშუალოვადიან პერიოდში. საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევაზე დაყრდნობით, ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა/გამჭვირვალობა პოზიტიურ კავშირშია ქვეყნის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგთან და მის წვდომასთან საერთაშორისო კაპიტალურ ბაზრებზე. ზემოაღნიშნულისა და ფისკალური რისკების შესახებ მეტი გამჭვირვალობის მიმართულებით ბოლო წლებში გამოვლენილი მზარდი საერთაშორისო ინტერესის გათვალისწინებით³, საბიუჯეტო კოდექსში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ცვლილება პოზიტიურად უნდა შეფასდეს (აღნიშნული მიმართულებით დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. მოკლე მეთოდოლოგიური განმარტება „ფისკალური რისკები: წყაროები, გამჭვირვალობა და მართვა“, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2014 წ.).

² Ter-Minassian T., 2008, „Fiscal Risks—Sources, Disclosure, and Management“, IMF Working Paper, (Washington, DC: International Monetary Fund)

³ იხ. IMF Code and Manual of Good Practices on Fiscal Transparency (2001, 2007) and the OECD Best Practices for Budget Transparency (2001). Requirements to disclose certain fiscal risks are part of internationally-accepted accounting and statistical standards. In addition, disclosure of key contingent liabilities is required as a memorandum item to the balance sheet under statistical reporting standards, such as the Government Finance Statistics Manual 2001.

მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და დაშვებები 2014-2015 წლებისათვის

ფისკალური რისკების ანალიზისას, მაკროეკონომიკურ დაშვებებთან მიმართებაში საბიუჯეტო აგრეგატებზე ზეგავლენის არსებითობის თვალსაზრისით, გამოყოფენ შემდეგ ძირითად ცვლადებს:

- **რეალური მშპ-ს ზრდის** ზეგავლენა საბიუჯეტო აგრეგატებზე, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მისი ზეგავლენით დასაბეგრ შემოსავალზე და შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლებზე, რაც თავის მხრივ, ამცირებს სახელმწიფო ვალის ტვირთსა და ვალის მომსახურების ხარჯებს საშუალოვადიან პერიოდში.
- სახელმწიფო ვალის სტრუქტურის გათვალისწინებით, საერთაშორისო ბაზარზე **საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ** შეიძლება არსებითი ზეგავლენა იქონიოს არსებული და ახალი საგარეო ვალის მომსახურების ხარჯებზე და შესაბამისად, საბიუჯეტო დეფიციტზე.
- **ინფლაციის** გაზრდილი ტემპების ზეგავლენა საგადასახადო შემოსავლებზე და კორპორაციების მოგებაზე გამოიხატება ხელფასებისა და საწარმოთა მოგების ზრდით, თუმცა მთლიან საბიუჯეტო სალდოზე საბოლოო ზეგავლენა დამოკიდებულია სახელმწიფო სავალდებულო ხარჯებისა და ფისკალური შეზღუდვების ინფლაციის მიხედვით ინდექსაციის ხარისხზე.
- **გაცვლითი კურსის** ზეგავლენა ყველაზე მასშტაბურად გამოიხატება უცხოურ-ვალუტაში დენომინირებული საგარეო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის ხარჯების მიმართულებით.
- **იმპორტის ზრდის ტემპი** ზეგავლენას ახდენს საშემოსავლო ნაწილში უპირველესად, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადების მობილიზებაზე გავლენის მეშვეობით.


ანგარიშში წარმოდგენილია ოფიციალური საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოს ბაზისად გამოყენებული მაკროეკონომიკური დაშვებების ანალიზი, ასევე ზემოაღნიშნულთაგან ცალკეული რისკების მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილსა და სახელმწიფო ვალის მოცულობაზე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელ გაანგარიშებებსა და ალტერნატიულ წყაროებზე დაყრდნობით.

მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და საპროგნოზო მაჩვენებლები

2014 წლის პირველ ნახევარში, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6.1% შეადგინა (მათ შორის, პირველ კვარტალში - 7.1 %, მეორეში კი -5.2%). 2013 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური აქტივობის შენელების შემდგომ, ეკონომიკური აქტივობის ზრდის ზემოაღნიშნული ტენდენციის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს 2013 წლის დასასრულსა და შემდგომ პერიოდში შედარებით აქტიური ფისკალური პოლიტიკა, მათ შორის, 2013 წლის მე-4 კვარტალში სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა, ასევე კერძო სექტორის მხრიდან აქტივობის ზრდა, რაც მოხმარებასა და ინვესტიციებზე აისახა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული „2015-2018 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების

დოკუმენტით“ (BDD) რეალური შშპ-ს ზრდის მოსალოდნელი წლიური მაჩვენებელი 2014-2015 წლებსათვის 5%-ს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში 5.5 %-ს შეადგენს. ეკონომიკური აქტივობის მოსალოდნელ ზრდასთან დაკავშირებულ ძირითად საყურადღებო ფაქტორებად შეიძლება განხილულ იქნეს ძირითადი პარტნიორი ქვეყნებიდან საგარეო მოთხოვნასთან დაკავშირებული რისკები, რაც თავის მხრივ აისახება წმინდა ექსპორტზე, ასევე კერძო სექტორის აქტივობის დონე და ფისკალური სტიმულები მიმდინარე და მომდევნო წლებსათვის.



რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკას⁴, 2014 წლის პირველ კვარტალში წლიურმა ინფლაციამ 3.4% (04/2014) შეადგინა. გასულ წელს დაფიქსირებული დეფლაციური ტენდენციების ცვლილების (2013 წელს ინფლაციის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა -0.5%



შეადგინა) ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს, ერთის მხრივ, 2013 წლის დასასრულს და 2014 წლის პირველ კვარტალში მიწოდების მხრიდან სურსათზე ფასების ზრდის ზეგავლენა, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიკური აქტივობის ზრდით განპირობებული ერთობლივი მოთხოვნის მხრიდან დეფლაციური ზეწოლის შენელება. 2014 წლის მეორე კვარტალის ბოლოსთვის, ფასების საერთო დონის მატების ტემპი, წინა კვარტალთან შედარებით შენელდა, კერძოდ, მეორე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ 2.6% შეადგინა, ხოლო 8 თვის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის თვესთან მიმართებით 3.4%-ს, ხოლო საშუალო წლიური ინფლაციის დონე (12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან) 2.2%-ს გაუტოლდა. **2014 წლისათვის ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 4.0 %-ს, 2015 წლისათვის 5.0%-ს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში 3.5%-ს შეადგენს.** რაც შეეხება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2014 წლის თებერვალში

⁴ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

3.75%-დან 4%-მდე გაიზარდა და 2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით ანალოგიურ მაჩვენებელზე ნარჩუნდება. ეროვნული ბანკის მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში ვლინდება საფინანსო სექტორის აქტივობის ზრდა და ზრდის ტენდენციით ხასიათდება კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი.






წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც შეეხება მთლიან საერთაშორისო რეზერვებს, 2014 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2,707.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან მიმართებით 208.4 მლნ აშშ დოლარით მეტია, ხოლო წინა წლის შესაბამის

პერიოდთან შედარებით - 387.0 მლნ აშშ დოლარით ნაკლები. ლარის გაცვლით კურსთან მიმართებაში, 2013 წლის დასასრულის შემდგომ გამოვლენილი გაუფასურების ტენდენციის შემდგომ, 2014 წლის პირველ ნახევარში ლარის გაცვლითი კურსი ძირითადად გამყარების ტენდენციას ავლენს.

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშს, 2014 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 362.8 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, ძირითადად მიმდინარე წელს იმპორტის ზრდის გავლენით. გასულ წელს ექსპორტის ზრდისა და იმპორტის ციკლური შემცირების გავლენით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, მკვეთრად შემცირდა და მშპ-სთან მიმართებაში -5.9% შეადგინა, თუმცა იმპორტის ზრდის პროგნოზირებული ტემპის გავლენით მიმდინარე წელს მოსალოდნელია აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა და ოფიციალური საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ს -7.5%-ს შეადგენს. გასული წლების მსგავსად, 2014 წლის განმავლობაშიც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს უარყოფითი სავაჭრო სალდო (მშპ-ს 23.5%), ხოლო მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითად წყაროს კვლავ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს.





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

“ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი” 2014 და 2015 წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი -7.5%-ის დონეზეა განსაზღვრული, თუმცა ეროვნული ბანკის, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით აღნიშნული მაჩვენებელი მიმდინარე წლისათვის -8.4%-ს შეადგენს. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, წარმოდგენილი დოკუმენტით 2018 წლისათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ს -6.9 %-ს უტოლდება.

პოლიტიკის
საბიუჯეტო ოფისი

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტზე თანდართულ 2015-2018 წწ. ქვეყნის “ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი” წარმოდგენილია საშუალოვადიან პერიოდში მაკროეკონომიკური გარემოს მცირედით განსხვავებული სცენარი, ვიდრე აღნიშნული დოკუმენტის პირველად ვარიანტში, და ასევე 2014-2017 წწ. პერიოდისათვის მომზადებულ ამავე დოკუმენტში. კერძოდ, 2015-2018 წლებისათვის „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის“ (BDD) წარმოდგენილი ვარიანტით 2015 წელს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტმა 31,834.0 მილიონი ლარი უნდა შეადგინოს, რაც 2014-2017 წლის BDD დოკუმენტში (01/2014წ) ასახულ მონაცემს 89.5 მილიონი ლარით აღემატება, თუმცა 2015-2018 წწ. BDD დოკუმენტის პირველადი ვარიანტის (06/2014წ) ანალოგიურ მონაცემზე 306.1 მილიონი ლარით ნაკლებია. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან განსაზღვრულია -7.5%-ის ფარგლებში 2015 წლისათვის, 2014-2017 წლის იმავე სახის დოკუმენტის აღნიშნული მაჩვენებლის საპროგნოზო %-ული წილი მშპ-სთან -3.5%-ის დონეზე იყო განსაზღვრული, რაც შესაბამის პერიოდში სავაჭრო სალდოს განვითარების განსხვავებულ მოლოდინებს უკავშირდებოდა.

ინდიკატორის პროგნოზი 2015 წლისათვის(BDD)	2012-2015წწ.	2013-2016წწ.	2013-2016წწ.	2014-2017წწ.	2014-2017წწ.	2015-2018წწ.	2015-2018წწ.
	საბოლოო ვარიანტი (01/2012 წ.)	პირველი წარდგენა (09/2012წ.)	საბოლოო ვარიანტი (01/2013 წ.)	პირველი წარდგენა (09/2013წ.)	საბოლოო ვარიანტი (01/2014 წ.)	პირველადი ვარიანტი (30/06/2014წ.)	პირველი წარდგენა (09/2014წ.)
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	7.0	-	6.0	5.0	5.0	5.0	5.0
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	38,851.8	-	36,095.2	33,704.7	31,744.5	32,140.1	31,834.0
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში) მიმდინარე ანგარიში (%-ად მშპ-სთან)	6.0	-	5.0	3.0	3.0	5.0	4.0
	-6.1	-	-7.0	-3.7	-3.5	-7.2	-7.5

ცხრილი 1. BDD დოკუმენტით განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებლების დინამიკა 2015 წლისათვის

გასული წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, საყურადღებოა ოფიციალური საპროგნოზო მაჩვენებლების მიმართება ალტერნატიული წყაროების საპროგნოზო მაჩვენებლებთან. გასული წლის ბიუჯეტის კანონის პირველი წარდგენისას წარმოდგენილი საშუალოვადიანი ჩარჩოსაგან განსხვავებით, ამ ეტაპზე წარმოდგენილი 2014 და 2015 წლების საპროგნოზო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები არსებით გადახრას არ ავლენს ალტერნატიული წყაროთა მიერ მოცემულ პროგნოზებთან, თუმცა მცირე განსახვავება ვლინდება საშუალოვადიან პერიოდში მოცემულ მაჩვენებლებთან მიმართებაში. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საბაზისო სცენარად განხილულია საშუალოვადიან პერიოდში 5% ეკონომიკური ზრდა, თუმცა BDD-ს წარმოდგენილი დოკუმენტით აღნიშნული მაჩვენებელი 2016-2018 წლებისათვის 5.5%-ს შეადგენს.

	რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი	რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი	სამომხმარებლო ინდექსის ზრდის ტემპი (პერიოდის საშუალო)	ფასების ინდექსის ზრდის ტემპი	მიმდინარე დეფიციტი(%-ად მშპ-სთან)	ანგარიშის დეფიციტი(%-ად მშპ-სთან)
	2014	2015	2014	2015	2014	2015
ოფიციალური პროგნოზი(BDD) (2015-2018 წ).	5.0	5.0	3.5	5.0	-7.5	-7.5
საერთაშორისო სავალუტო ფონდი(08.14)	5.0	5.0	4.6	4.9	-8.4	-7.9
საერთაშორისო სავალუტო ფონდი						

(05.14) ⁵	5.0	5.0	4.0	4.6	-7.9	-7.3
საერთაშორისო სავალუტო ფონდი(08.13) ⁶ ევროპის გაერთიანებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (05.2014) ⁷	6.6		4.5		-7.7	-7.1
	4.0	4.0	4.0			

ცხრილი 2. საპროგნოზო მაჩვენებლები 2014-2015 წლებისათვის BDD დოკუმენტისა და ალტერნატიული წყაროების მიხედვით.

მაკროეკონომიკური ინდიკატორების საპროგნოზო მაჩვენებლების ხარისხი კერძოდ, ფაქტობრივი მაჩვენებლებიდან გადახრის მიმართულება, ისევე როგორც გადახრის დიაპაზონი არსებით ზეგავლენას ახდენს ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესის ჯეროვნად წარმართვაზე. შესაბამისად, აუცილებელია პროგნოზების ზოგადი ტენდენციის წარმოდგენა გასული წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ მაკროეკონომიკური პროგნოზების ეფექტიანობის შეფასება განსხვავებულ ასპექტებს შეიძლება ეხებოდეს, საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულად ითვლება რამდენიმე ინდიკატორის გამოყენება სტატისტიკური გადახრისა (Statistical Bias) და სიზუსტის(Accuracy) პირველადი შეფასებისათვის, განსაკუთრებით დაკვირვებათა მცირე ოდენობის შემთხვევაში. ძირითადად აღნიშნული ინდიკატორები მოიცავს: პროგნოზების საშუალო პროცენტული ცდომილება, საშუალო აბსოლუტური პროცენტული ცდომილება და თეილის უთანაბრობის კოეფიციენტი⁸ (დეტალურად აღნიშნული ინდიკატორების შესახებ იხ. მოკლე მეთოდოლოგიური განმარტება „პროგნოზების შეფასების მარტივი მეთოდები“, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2014წ.). აღნიშნული ინდიკატორები რამდენიმე მაკროეკონომიკური ცვლადისათვის, 2005-2013 წწ. პერიოდისათვის BDD დოკუმენტებში მოცემულ საპროგნოზო მაჩვენებლებსა და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის გადახრებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია ქვემოთმოცემულ ცხრილში.

საპროგნოზო მაჩვენებლების შეფასებითი ინდიკატორები

	საპროგნოზოს წინა წლის დასაწყისი	საპროგნოზოს წინა წლის მეორე ნახევარი
რეალური მშპ-ს ზრდა %		
საშუალო აბსოლუტური პროცენტული ცდომილება 2008-2009 წლის მაჩვენებლების გამორიცხვით	47%	12%
საშუალო პროცენტული ცდომილება	-26.9%	16.8%
თეილის კოეფიციენტი 2008-2009 წლის მაჩვენებლების გამორიცხვით	0.56	0.09
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი %		

⁵ Regional Economic Outlook. <http://www.imf.org/external/pubs/ft/reo/2014/mcd/eng/pdf/menacca0514.pdf>

⁶ IMF Country Report No. 13/264. <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2013/cr13264.pdf>

⁷ Regional Economic Prospects in EBRD Countries of Operations: September 2014.

<http://www.ebrd.com/downloads/research/REP/rep-2014.pdf>

⁸ CBO's Economic Forecasting Records, Congressional Budget Office, Congress of The United States

საშუალო აბსოლუტური პროცენტული ცდომილება 2008-2009 წლის მაჩვენებლების გამორიცხვით	50%	17%
საშუალო პროცენტული ცდომილება	11.4%	0.7%
თეილის კოეფიციენტი	1.58	0.66

ნომინალური მშპ

საშუალო აბსოლუტური პროცენტული ცდომილება	9%	2%
საშუალო პროცენტული ცდომილება	3.5%	-0.04%
თეილის კოეფიციენტი	1.3	0.1

ცხრილი 3. საპროგნოზო მაჩვენებლების შეფასებითი ინდიკატორები

როგორც ცხრილიდან ჩანს, საპროგნოზო ჰორიზონტის (საპროგნოზო პერიოდამდე ვადის) შემცირებისას საპროგნოზო მაჩვენებლები უახლოვდება ფაქტობრივ მაჩვენებლებს, არსებითი გადახრები ძირითადად დაკავშირებულია 2008-2009 წლების მაჩვენებლების ჩართვასთან განხილულ შერჩევაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი იზრდება 295 მლნ ლარით (3%-ით), ძირითადად შემოსავლების 611 მლნ ლარის ოდენობით (8%) ზრდის გავლენით. ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შემცირება დაგეგმილია 311 მლნ ლარის დონეზე, რაც თავის მხრივ, ითვალისწინებს, საგარეო და საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შემცირებას შესაბამისად, 116 მლნ ლარითა და 200 მლნ ლარით. არაფინანსური (პრივატიზება) და ფინანსური აქტივების კლების(სესხების დაფარვით მიღებული სახსრები) მუხლით შემოსულობების მოცულობა, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის დონეზე, შესაბამისად, 80 და 70 მლნ ლარის დონეზეა განსაზღვრული.

	2013		2013-2014 წწ.				
	ფაქტიური შესრულება	2014 გეგმა	2014 წლის 8 თვე	2015წ.გეგმა	სხვაობა ნომინალურ გამოსახულებაში	ზრდის ტემპი %-ად	
შემოსულობები	7,694,824	9,105,000	5,494,182	60%	9,400,000	295,000	3%
შემოსავლები	6,839,494	7,319,000	4,660,103	64%	7,930,000	611,000	8%
გადასახადები	6,287,685	6,820,000	4,373,399	64%	7,460,000	640,000	9%

გრანტები	238,861	144,000	127,255 *	88%	180,000	36,000	25%
სხვა შემოსავლები	312,947	355,000	159,449	45%	290,000	-65,000	-18%
არაფინ.აქტივების კლება	77,515	80,000	52,546.50	66%	80,000	0	0%
ფინანსური აქტივების კლება	39,924	70,000	50,321.70	72%	70,000	0	0%
ვალდებულებების ზრდა	737,891	1,636,000	731,211	45%	1,320,000	-316,000	-19%

* ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, გრანტების შესრულების მაჩვენებელში ასახულია მიზნობრივი გრანტები. ცხრილი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2013-2015 წლებში

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების 8 თვის შესრულება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მიხედვით, 4,373.4 მლნ ლარს შეადგენს და წლიურ გეგმასთან მიმართებით 64%-ს შეადგენს. საგადასახადო შემოსავლების ცალკეული ტიპების მიხედვით, დამატებითი ღირებულების, აქციზის და იმპორტის გადასახდებისათვის მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით შესრულება ნომინალურ გამოსახულებაში აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს ანალოგიური პერიოდისათვის (განსაკუთრებით მასშტაბურად დღგ-სათვის 309 მლნ ლარით). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში გაცემულმა სახსრებმა 127,399.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც არსებული მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, ამოთიშულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებიდან.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილ მაჩვენებლებს, 2015 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 7,460 მლნ ლარს და 2014 წლისათვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 9.4%-ით აღემატება. 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმითა და 2015 წლის წარმოდგენილი კანონპროექტის მაჩვენებლებით ანალიზით ვლინდება, რომ აღნიშნული მაჩვენებლებით %-ად ყველაზე მასშტაბური ზრდა გათვალისწინებულია საშემოსავლო და იმპორტის გადასახდებისათვის, მოგების გადასახადის მოცულობა მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებლით მცირდება მოგების გადასახადის მოცულობა, რაც შეეხება დღგ-ს და აქციზის სახით მიღებულ საგადასახადო შემოსავლებს, აღნიშნული მაჩვენებლები 2014 წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით იზრდება შესაბამისად 8%-ითა და 9%-ით.

	2013	2014 (კანონით)	2015წ. კანონპროექტი	ზრდის ტემპი 2013- 2014წწ(%)	ზრდის ტემპი 2014- 2015წწ(%)
სულ, საგადასახადო შემოსავლები	6,285,992	6,820,000	7,460,000	8.5%	9.4%
საშემოსავლო გადასახადი	1,795,142	1,770,000	2,070,000	-1.4%	16.9%
მოგების გადასახადი	806,545	912,000	906,000	13.1%	-0.7%
დამატებული ღირებულების	2,847,868	3,274,000	3,534,000	15.0%	7.9%
აქციზი	722,178	739,000	808,000	2.3%	9.3%
იმპორტის გადასახადი	89,375	100,000	117,000	11.9%	17.0%
სხვა გადასახადები	24,884	25,000	25,000	0.5%	0.0%

ცხრილი 5. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2014 წლის ბიუჯეტის კანონისა და 2015 წლის წარმოდგენილ კანონპროექტის მიხედვით.

თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დასაგეგმი საბიუჯეტო წლის წარმოდგენილი საპროგნოზო მაჩვენებლების შეფასებისას მოზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას მიმდინარე 2014 წლის წლის მობილიზების ტენდენციები, 2014 წლის ბიუჯეტის კანონთან წარმოდგენილი მაჩვენებლების შედარება არ იძლევა მათი საფუძვლიანობის შესახებ რეალისტურ სურათს. ამდენად, წარმოდგენილი საპროგნოზო მაჩვენებლების შესაფასებლად, საბიუჯეტო ოფისი იყენებს ორეტაპიან მიდგომას

1. მიმდინარე წლის 8 თვის მობილიზების ტენდენციის გათვალისწინებით, გასული 4 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ექსტრაპოლაციის მეთოდით გაანგარიშება მიმდინარე წლის მოსალოდნელი მაჩვენებლები საგადასახადო შემოსავლის თითოეული ტიპისათვის;
2. ხდება დასაგეგმი წლის კანონპროექტით გათვალისწინებული საპროგნოზო მაჩვენებლების შედარება ექსტრაპოლაციის მეთოდით გაანგარიშებულ მაჩვენებლებთან.

იმის გათვალისწინებით, რომ ექსტრაპოლაციის მეთოდით გაანგარიშებული მოსალოდნელი მაჩვენებელი 2014 წლისათვის ითვალისწინებს მიმდინარე წლის მობილიზების ტენდენციებს, აღნიშნულ მაჩვენებელთან შედარებით 2015 წლის მაჩვენებლების ზრდის ტემპის წარმოდგენა, საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოთი წარმოდგენილი მაკროეკონომიკური გარემოს საპროგნოზო ტენდენციების გათვალისწინებით, იძლევა ზედმეტად ოპტიმისტური/კონსერვატული საპროგნოზო მაჩვენებლების იდენტიფიცირების საშუალებას.

ცხრილში #6 წარმოდგენილია ზემოაღნიშნულ მიდგომაზე დაყრდნობით მიმდინარე წლის მოსალოდნელი მაჩვენებლების პირველადი შეფასება. კერძოდ, როგორც ცხრილიდან ჩანს, აგრეგატულ დონეზე საგადასახადო შემოსავლების შესრულება მიმდინარე წელს ნაკლებ სავარაუდოა სირთულეებს უკავშირდებოდეს და შესაძლოა გამოვლინდეს გადაჭარბებით შესრულების ტენდენცია. თუმცა ცალკეული ტიპების მიხედვით შესაძლოა გამოვლინდეს გადახრები ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული მაჩვენებლებისაგან, საბიუჯეტო ოფისის პირველადი შეფასებით, მოსალოდნელია მოგების გადასახადის ფაქტობრივი მობილიზების უარყოფითი გადახრა ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული წლიური გეგმისაგან, თუმცა მოსალოდნელია გამოვლინდეს გადაჭარბებით შესრულების ტენდენცია საშემოსავლო, დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადებისთვის.

	2013 წლის შესრულება	საშუალო წილი 8 თვის წლიურში (ბოლო 4 წლისთვის)	8 თვის შესრულება	ექსტრაპოლაციით დადგენილი წლიური მაჩვენებელი	2014 (კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებელი)	სხვაობა
სულ, საგადასახადო შემოსავლები	6,285,992	64%	4,500,798	6,931,867	6,820,000	111,867
საშემოსავლო გადასახადი	1,795,142	63%	1,241,843*	1,848,218*	1,770,000	78,218
მოგების გადასახადი	806,545	69%	544,343	793,091	912,000	-118,909
დამატებული ღირებულების	2,847,868	63%	2,118,340	3,346,749	3,274,000	72,749
აქციზი	722,178	63%	516,523	821,919	739,000	82,919
იმპორტის გადასახადი	89,375	65%	64,782	99,813	100,000	-187
სხვა გადასახადები	24,884	68%	14,967	22,077	25,000	-2,923

* 2014 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლების გაანგარიშება (დაუბეგრავი მინიმუმის სახით გაცემული სახსრების გათვალისწინებით) ეყრდნობა დაშვებას, რომ 127,399 ათასი ლარი მიმართულ იქნა საშემოსავლო გადასახადიდან.

ცხრილი 6. სახელმწიფო ბიუჯეტის მოსალოდნელი საგადასახადო შემოსავლები 2014 წლისათვის, საბიუჯეტო ოფისის კალკულაციაზე დაყრდნობით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაგეგმვის პროცესის რეალისტურად წარმოსადგენად მიზანშეწონილია 2015 წლის წარმოდგენილი მაჩვენებლები განხილულ იქნას არა მხოლოდ 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან, არამედ მიმდინარე წლის ზემოთმოცემულ მოსალოდნელ მაჩვენებლებთან მიმართებაში (იხ. ცხრილი). როგორც ცხრილიდან ჩანს, საბიუჯეტო ოფისის მიერ გაანგარიშებულ მიმდინარე წლის მოსალოდნელ

მაჩვენებელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების ჯამური მოცულობა დაახლოებით 7.5%-ით იზრდება, რაც წარმოდგენილი მაკროეკონომიკური სცენარის გათვალისწინებით, რეალისტურად შეიძლება შეფასდეს. თუმცა საყურადღებოა გადასახადების ცალკეული ტიპების მიხედვით შემოსავლების დინამიკა. როგორც ცხრილიდან ჩანს, კანონპროექტით გათვალისწინებული მაჩვენებელი მოგების გადასახადისათვის მიმდინარე წლის მოსალოდნელ მაჩვენებელთან შედარებით 14.2%-ით იზრდება, რაც გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე დამატებით დასაბუთებას საჭიროებს. რაც შეეხება გადასახადების სხვა ტიპებს, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, გასული და მოსალოდნელი ზრდის ტემპის გათვალისწინებით, შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადებისათვის კანონპროექტით წარმოდგენილია მობილიზების კონსერვატული გეგმური მაჩვენებლები.

	ზრდის ტემპი 2009-2010წწ(%)	ზრდის ტემპი 2010-2011წწ(%)	ზრდის ტემპი 2011-2012წწ(%)	ზრდის ტემპი 2012-2013წწ(%)	ზრდის ტემპი 2013-2014წწ(%)**	ზრდის ტემპი 2014-2015წწ(%)**
სულ, საგადასახადო შემოსავლები	10.3%	26.3%	8.8%	-0.4%	12.3%	7.5%
საშემოსავლო გადასახადი	6.2%	28.6%	13.7%	9.7%	10.1%	11.2%
			<small>პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი</small>			
მოგების გადასახადი	11.3%	44.5%	2.3%	-5.2%	-1.7%	14.2%
დამატებული ღირებულების	7.4%	26.4%	9.2%	-6.3%	17.5%	5.6%
აქციზი	26.5%	9.7%	7.2%	9.5%	13.8%	-1.7%
იმპორტის გადასახადი	96.0%	32.4%	-3.4%	-0.8%	11.7%	17.2%
სხვა გადასახადები	5.2%	-40.4%	-10.3%	-26.2%	-11.3%	13.2%

* 2014 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლების გაანგარიშება (დაუბეგრავი მინიმუმის სახით გაცემული სახსრების გათვალისწინებით) ეყრდნობა დაშვებას, რომ 127,399 ათასი ლარი მიმართულ იქნა საშემოსავლო გადასახადიდან. ამასთან, 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის კორექტირება ეყრდნობა დაშვებას, რომ 2015 წელს დაუბეგრავი მინიმუმის პროგრამის ფარგლებში გაცემული სახსრების მოცულობა გაუტოლდება 2014 წლის მაჩვენებელს.

ცხრილი 7. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2014-2015 წლებში, საბიუჯეტო ოფისის მიერ მიმდინარე წლისათვის გაანგარიშებულ მოსალოდნელ მაჩვენებელთან მიმართებაში.

საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლების სრულყოფილად შეფასებისათვის პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ გაანგარიშებულ იქნა

ოფიციალურ მაკროეკონომიკურ პროგნოზებზე დაყრდნობით სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დამოუკიდებელი საპროგნოზო მაჩვენებლები. საპროგნოზო მაჩვენებლები მომზადებულ იქნა მიმდინარე 2014 წლის შემოსავლების მობილიზების სამი განსხვავებული სცენარისათვის. პირველი სცენარი ეყრდნობა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივ შესრულებას და აღნიშნულ მონაცემებზე და მიმდინარე და მომდევნო წლის მაკროეკონომიკურ ცვლადებზე დაყრდნობით ასახავს 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებს. მეორე სცენარის დაშვებას წარმოადგენს, რომ 2014 წლის საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივი შესრულება ზუსტად დაემთხვევა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებლებს და აღნიშნულ მაჩვენებლებსა და 2015 წლის საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ახდენს 2015 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მობილიზების მოსალოდნელი მოცულობის გაანგარიშებას. ხოლო მესამე სცენარი ეყრდნობა მიმდინარე წლისათვის საბიუჯეტო ოფისის მიერ გაანგარიშებულ მოსალოდნელ მაჩვენებლებს 8 თვის შესრულების მდგომარეობის გათვალისწინებით, და აღნიშნულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ახდენს 2015 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზების გაანგარიშებას. აღნიშნული სამი სცენარით გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთმოცემულ ცხრილში. უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო ოფისის მიერ გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები არ ისახავს მიზნად 2015 წლისათვის საგადასახადო შემოსავლების ზუსტი პროგნოზების მომზადებას და ემსახურება განსხვავებული სცენარების ანალიზით კანონპროექტით წარმოდგენილი საპროგნოზო მაჩვენებლების სრულყოფილად შეფასებასა და ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირებას.

გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ მესამე მეთოდი ითვალისწინებს მიმდინარე წლის მობილიზების ფაქტობრივ მაჩვენებლებს, შესაბამისად, მიზანშეწონილია საგადასახადო შემოსავლების 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით გათვალისწინებული მაჩვენებლების შეფასებისას შედარება სწორედ აღნიშნულ მაჩვენებლებთან მოხდეს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული სცენარით მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლები იმავე ტენდენციებზე მიუთითებს, რაზეც ზემოთ იქნა აღნიშნული. კერძოდ, 2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 7,684 მლნ ლარს, რაც 2015 წლისთვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 1.3%-ით აღემატება. რაც შეეხება გადასახადების ცალკეულ ტიპებს, მოგების გადასახადისათვის გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები მცირედით (-4.3%, შესაბამისად) ნაკლებია 2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამის მაჩვენებელზე, თუმცა ამავდროულად, საპროგნოზო მაჩვენებლის შედარება ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრულ მაჩვენებელთან ავლენს, რომ დღგ-სა და აქციზისათვის კანონპროექტით წარმოდგენილია მობილიზების კონსერვატული სცენარი.

2015 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (ათასი ლარი)

	ბიუჯეტის გეგმა (2015 წ)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*	2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით **	3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის შესრულების გათვალისწინებით ***
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,372,000	7,423,000	7,684,000
საშემოსავლო გადასახადი*	2,197,399*	2,173,000*	1,952,000*	2,179,000*
მოგების გადასახადი	906,000	918,000	998,000	867,000
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,380,000	3,575,000	3,655,000
აქციზი	808,000	759,000	757,000	842,000
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	116,000	116,000
სხვა გადასახადები	25,000	25,000	25,000	25,000

* საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მისაღებად გათვალისწინებულია 2013 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც გაანგარიშებულია 2014-2015 წლებისთვის საგადასახადო შემოსავლების შესაბამისი პერიოდის მაკროეკონომიკური ცვლადების ოფიციალურ საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით;

** საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მისაღებად გათვალისწინებულია 2014 წლის ბიუჯეტის გეგმის მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც გაანგარიშებულია 2015 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი ამავე პერიოდისათვის მაკროეკონომიკური ცვლადების ოფიციალური საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით;

*** საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მისაღებად გათვალისწინებულია 2014 წლის არსებული 8 თვის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც ექსტრაპოლაციის მეთოდით გაანგარიშებულია 2014 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლები, და შემდგომ 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები 2015 წლისთვის მაკროეკონომიკური ცვლადების ოფიციალურ საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით.

*ზემოაღნიშნული პროგნოზები ითვალისწინებს დაშვებას, რომ 2015 წელს დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში საშემოსავლო გადასახადიდან მიმართული სახსრების მოცულობა შენარჩუნდება 2014 წლის დონეზე (126,399 ათასი ლარი).
ცხრილი 8.*

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიზანშეწონილია განხილულ იქნას საგადასახადო შემოსავლების შესაძლო გადახრების მაგნიტუდა ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ოფიციალური საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან განსხვავებული განვითარების შემთხვევაში. კერძოდ, ქვემოთწარმოდგენილია ინფორმაცია საგადასახადო შემოსავლების ჯამური მაჩვენებლის სენსიტიურობის შესახებ რეალური მშპ-ს ზრდის ტემპისა და ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლების ოფიციალური პროგნოზებისაგან 1%-ითა და 0.5%-ით გადახრების შემთხვევაში მიმდინარე წლის მობილიზების ტენდენციების გათვალისწინებით

განგარიშებულ 2014 წლის მაჩვენებლებზე დაყრდნობით. დეტალურად გადასახადების ტიპების მიხედვით აღნიშნული ინფორმაცია ზემოთმოცემული სამი განსხვავებული სცენარით განგარიშებული პროგნოზებისათვის მოცემულია დანართის სახით (იხ. დანართი 2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ანალიზი არ ისახავს მიზნად მაკროცვლადების ქვემოთმოცემული სცენარების რეალიზაციის ალბათობის შეფასებას და ასახავს მხოლოდ საბიუჯეტო ოფისის განგარიშებით საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი ცვლილებების სიდიდეს მაკროცვლადების ცვლილებების შემთხვევაში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ოფიციალური საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან, რეალური მშპ-ს ზრდისა ან ინფლაციის ზრდის მიმართულებით 1%-იანი გადახრის შემთხვევაში (დამოუკიდებლად), ბიუჯეტის წარმოდგენილი გეგმური მაჩვენებლისაგან საგადასახადო შემოსავლების ჯამური მაჩვენებლის საშუალო გადახრა 2.1%-2.2%-ს უტოლდება, ხოლო 0.5%-იანი გადახრის შემთხვევაში საშუალოდ - 1.7%-ს. რაც შეეხება გადახრებს კლების მიმართულებით, რეალური მშპ-ს ზრდისა ან ინფლაციის კლების მიმართულებით 1%-იანი გადახრის შემთხვევაშიც კი, საგადასახადო შემოსავლების ჯამური მაჩვენებელი ბიუჯეტის წარმოდგენილ გეგმური მაჩვენებელს აჭარბებს 0.4%-ით, ხოლო 0.5%-იანი გადახრის შემთხვევაში - 0.8%-ით. ერთადერთი შემთხვევა, როცა საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი მაჩვენებელი ნაკლებია ბიუჯეტის კანონის პროექტით წარმოდგენილ მაჩვენებელზე, ეხება რეალური მშპ-ს ზრდის ტემპისა და ინფლაციის ერთობლივ უარყოფით გადახრას 1%-ით, როდესაც პროგნოზი გეგმურ მაჩვენებელზე ნაკლებია 0.5%-ით. საგადასახადო შემოსავლების შესაძლო გადახრების მიმართულებისა და სიდიდის შესახებ ზემოაღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ კანონის პროექტით წარმოდგენილია საგადასახადო შემოსავლების მობილიზების კონსერვატული სცენარი.

საგადასახადო შემოსავლების სენსიტიურობა ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების 1%-ით გადახრების მიმართ

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	პროგნოზი გადახრით	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
1.1 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 1%-ით	7,587,399	7,752,000	164,601	2.2%
1. 2 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით	7,587,399	7,617,000	29,601	0.4%
1. 3 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 1%-ით	7,587,399	7,748,000	160,601	2.1%
1. 4 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით	7,587,399	7,621,000	33,601	0.4%

1. 5 პროგნოზის გადახრა ბიუჯეტის გეგმიდან თუ რეალური მშპ-ს და ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზს 1%-ით გადააჭარბებს	7,587,399	7,816,000	228,601	3.0%
1. 6 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი და ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით	7,587,399	7,553,000	-34,399	-0.5%

ცხრილი 9. საგადასახადო შემოსავლების სენსიტიურობა მაკროცვლადების საპროგნოზოდან 1%-ით გადახრისას

საგადასახადო შემოსავლების სენსიტიურობა ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების 0.5%-ით გადახრების მიმართ

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
1.1 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 0.5%-ით	7,587,399	7,718,000	130,601	1.7%
1. 2 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 0.5%-ით	7,587,399	7,651,000	63,601	0.8%
1. 3 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 0.5%-ით	7,587,399	7,715,000	127,601	1.7%
1. 4 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 0.5%-ით	7,587,399	7,651,000	63,601	0.8%
1. 5 პროგნოზის გადახრა ბიუჯეტის გეგმიდან თუ რეალური მშპ-ს და ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზს 0.5%-ით გადააჭარბებს	7,587,399	7,751,000	163,601	2.2%
1. 6 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი და ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 0.5%-ით	7,587,399	7,619,000	31,601	0.4%

ცხრილი 10. საგადასახადო შემოსავლების სენსიტიურობა მაკროცვლადების საპროგნოზოდან 0.5%-ით გადახრისას

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადებთან მიმართებაში, ასევე აუცილებელია პოზიტიურად შეფასდეს კანონპროექტზე თანდართული ცვლილება საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც ეხება ზედმეტად/შეცდომით გადახდილი შემოსულობების დაბრუნების შესახებ ანგარიშგებას.

ზედმეტად/შეცდომით გადახდილი გადასახადების დაბრუნებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების მექანიზმი და რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის №916 ბრძანებით „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“. კერძოდ, ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის, ასევე შეცდომით გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნება წარმოებს ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ სახელმწიფო ხაზინაში წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე (მუხლი 11). ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხის მიმართვა ხდება ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ამასთან, **საბიუჯეტო კოდექსის 49-ე მუხლის არსებული რედაქციით მიხედვით, „გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართული სახსრების გარეშე“** და „ბიუჯეტის შემოსულობის შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებისას კორექტირება ხდება ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის დაბრუნებული ან შემოსულობის სხვა სახეში გადატანილი თანხით“. ამავდროულად, კოდექსის ამავე მუხლის მიხედვით, „დაბრუნების ქვეანგარიშიდან სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვა, მათ შორის, დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში, არ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშსა და ანგარიშგებაში“ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 49). შემოადნის უფლებამოსილი საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად, ქვეანგარიშზე წლის დასასრულს, შესაბამისი თანხის დაბრუნების შემდგომ არსებული ნაშთი ნარჩუნდება შესაბამის ანგარიშზე. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არ აისახება არც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებიდან აღნიშნული სახსრების მიმართვა შემოსავლების სარეზერვო ქვეანგარიშზე, არც ანგარიშიდან დაბრუნებული სახსრების ფაქტობრივი მოცულობა ან ქვეანგარიშზე არსებული ნაშთის დინამიკა.

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის სტანდარტებით (GFSM 2001, 5.22), რომლის საფუძველზეც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ფორმირება, ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების აღრიცხვა განიხილება, როგორც შესაბამისი საგადასახადო შემოსავლის შემცირება - უარყოფითი საგადასახადო შემოსავალი და არა როგორც ხარჯი. (ამასთან, ფინანსთა მინისტრის შემოადნის უფლებამოსილი ბრძანების შესაბამისად, „გადასახადისა და სხვა შემოსულობების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება არ განიხილება, როგორც ხარჯი. იგი ტარდება, როგორც ზედმეტად გადახდილი გადასახადისა და სხვა შემოსულობების დაბრუნება და მიეთითება ბიუჯეტის შემოსულობის კლასიფიკაციის შესაბამისი კოდი“ (მუხლი 11, პუნქტი 7)). შესაბამისად, **საკასო მეთოდით სახელმწიფო**

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახული სახსრები უნდა ასახავდეს სხვაობას მობილიზებულ საგადასახადო შემოსავლებსა და რეალურად დაბრუნებულ სახსრებს შორის,

საბიუჯეტო კოდექსში წარმოდგენილი ცვლილებით, 49-ე მუხლის შესაბამისი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ანგარიშში არ აისახება შემოსავლების სარეზერვო ქვეანგარიშიდან დაბრუნებული სახსრების შესახებ ინფორმაცია, სრულად ამოღებულია. გარდა ზემოაღნიშნულისა, 49-ე მუხლიდან ნარჩუნდება ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსულობების კორექტირებას დაბრუნებული ან სხვა სახეში გადატანილი თანხით, რაც შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სახელმძღვანელოს (GFSM 2001) სტანდარტებს. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილება საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, ხელს შეუწყობს საგადასახადო შემოსავლების მობილიზების მდგომარეობის შესახებ ზუსტი და სამართლიანი სურათის წარმოდგენას და გახდება წინაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშში ასახულ იქნას ზემოაღნიშნულ ქვეანგარიშზე წლის განმავლობაში მიმართული სახსრების, აღნიშნული ქვეანგარიშიდან ზედმეტად გადახდილი გადასახადებისა და სხვა შემოსულობების ზედმეტად გადახდილი სახსრების დაბრუნებისა და ზემოაღნიშნულ ქვეანგარიშზე განთავსებული სახსრების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია.



სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

წარმოდგენილი კანონპროექტით, მიმდინარე წლიურ ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით, გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების შემცირება ჯამური მოცულობით 65 მლნ ლარი, რაც ძირითადად საკუთრებიდან შემოსავლების ცვლილებას უკავშირდება.

საკუთრებიდან შემოსავლების მუხლით ზემოაღნიშნული ცვლილება დაკავშირებულია დივიდენდების მუხლით გეგმური მაჩვენებლის შემცირებასთან 2014 წლის წლიურ გეგმასთან შედარებით 50 მლნ ლარის ოდენობით, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მიმდინარე წლის შესრულების ტენდენციებსა (2014 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის დივიდენდების მუხლით მიმართულ იქნა წლიური გეგმის მხოლოდ 0.2%) და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის 2013 წლის 22 ივლისის სხდომის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა, შესაბამისად არ არის მიღებული გადაწყვეტილებები

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების 2012-2013 წლების წმინდა მოგების განაწილების შესახებ.

	2013 წ.		2014წ.		2014-2015 წწ.			
	2012წ.	8 თვე	2013წ.	8 თვე	2014წ. (კანონი)	2015წ. პროექტი	ზრდის ტემპი (%-ად)	ცვლილება (მლნ ლარი)
სულ, სხვა შემოსავლები	400,948	193,825	312,948	159,449	355,000	290,000	-18%	-65,000
შემოსავლები საკუთრებიდან	254,369	42,504	66,620	15,521	89,600	54,000	-40%	-35,600
პროცენტები	10,606	7,440	12,265	12,389	28,000	42,000	50%	14,000
დივიდენდები	125,839	28,947	43,903	123	55,000	5,000	-91%	-50,000
რენტა	117,925	6,118	10,452	3,010	6,600	7,000	6%	400
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	35,610	35,863	75,786	35,465	68,700	72,650	6%	3,950
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	31,420	34,479	73,175	33,639	66,700	70,300	5%	3,600
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	4,190	1,384	2,610	1,825	2,000	2,350	18%	350
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	70,954	83,751	116,199	47,827	100,000	80,000	-20%	-20,000
ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარდა			1,812	16	1,700	1,700	0%	0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	40,015	31,707	52,531	60,620	95,000	81,650	-14%	-13,350

ცხრილი 11. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით, წარმოდგენილი კანონპროექტით გადასახდელების ჯამური მოცულობის ზრდა გათვალისწინებულია 3%-ის დონეზე, 270 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის გათვალისწინებულია ხარჯებისა(მიმდინარე ხარჯები) და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (კაპიტალური ხარჯები) ზრდა შესაბამისად, 5%-ითა და 4%-ით. რაც შეეხება ფინანსური აქტივების ზრდას(სესხების გაცემა და აქციების/წილის ზრდა) გათვალისწინებულია აღნიშნული მუხლით გადასახდელების ზრდა 75 მლნ ლარით, როგორც სესხების, ისე აქციებისა და სხვა კაპიტალის კომპონენტებში. ვალდებულებების კლება 2015 წლისათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით მცირდება 188 მლნ ლარით, ძირითადად საგარეო ვალდებულებების დაფარვის კომპონენტის შემცირების გავლენით, რომელიც 2014 წლის ბიუჯეტის კანონით 529 მლნ ლარის დონეზე იყო განსაზღვრული, ხოლო წარმოდგენილი კანონპროექტით, მისი გეგმური მაჩვენებელი 345 მლნ ლარს შეადგენს.

	2013		2014-2015 წწ.				
	ფაქტიური შესრულება	2014 გეგმა	2014 წლის აგვისტო	2015წ. გეგმა	სხვაობა ნომინალურ გამოსახულე ბაში	ზრდის ტემპი %-ად	
გადასახდელები	8,104,218	9,080,000	5,352,006	59%	9,350,000	270,000	3%
ხარჯები	6,545,615	7,539,613	4,575,478	61%	7,891,025	351,412	5%
შრომის	1,187,570	1,318,054	838,988	64%	1,372,434	54,381	4%
<i>ანაზღაურება</i>							
საქონელი და მომსახურება	765,801	853,836	533,560	62%	912,172	58,336	7%
პროცენტი	233,043	305,047	158,622	52%	360,106	55,059	18%
სუბსიდიები	242,552	241,623	145,423	60%	204,466	-37,157	-15%
გრანტები	1,083,320	1,111,779	630,468	57%	1,171,553	59,774	5%
სოციალური	2,083,044	2,581,394	1,652,493	64%	2,653,043	71,649	3%
<i>უზრუნველყოფა</i>							
სხვა ხარჯები	950,285	1,127,881	615,924	55%	1,217,251	89,370	8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	767,632	734,125	326,976	45%	765,662	31,536	4%
ფინანსური	277,105	208,180	102,969	49%	284,090	75,910	36%
ვალდებულებების კლება	513,865	598,081	346,583.20	58%	409,223	-188,858	-32%

ცხრილი 12. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკა 2013-2015 წლებში

პრიორიტეტები	2013	2014	2015	2013- 2014წწ. ცვლილება	2013-2014წწ. ცვლილება %	2014- 2015წწ. ცვლილება	2014- 2015წწ. ცვლილება %
ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,160,127	2,687,728	2,785,583	527,601	24.4%	97,855	3.6%
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,547,433	1,575,143	1,580,702	27,710	1.8%	5,559	0.4%
რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი	922,157	965,323	1,104,775	43,166	4.7%	139,452	14.4%
განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	927,573	1,029,019	1,088,032	101,446	10.9%	59,013	5.7%
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	219,966	267,771	265,664	47,805	21.7%	-2,107	-0.8%
ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა	287,447	298,771	211,684	11,324	3.9%	-87,087	-29.1%
იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა	120,735	99,475	65,350	-21,260	-17.6%	-34,125	-34.3%
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	198,922	193,000	207,410	-5,922	-3.0%	14,410	7.5%
საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია	81,785	93,407	103,460	11,622	14.2%	10,053	10.8%
სოფლის მეურნეობა	230,432	265,920	295,500	35,488	15.4%	29,580	11.1%
სასამართლო სისტემა	67,439	107,835	80,280	40,396	59.9%	-27,555	-25.6%

გარემოს დაცვა და ზუნდობრივი რესურსების მართვა	43,780	45,930	50,640	2,150	4.9%	4,710	10.3%
---	--------	--------	--------	-------	------	-------	-------

ცხრილი 13. ასიგნებების დინამიკა პრიორიტეტების მიხედვით 2013-2015 წლებში.

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული მაჩვენებლები პრიორიტეტების მიხედვით გასული საბიუჯეტო წლის კანონთან შედარებით წარმოდგენილია შემოთმოდგემულ ცხრილში. ნომინალურ გამოსახულებაში დაფინანსების ყველაზე მასშტაბური ზრდა გათვალისწინებულია რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი (139 მლნ ლარი), ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (98 მლნ ლარი), განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადების (59 მლნ ლარი), სოფლის მეურნეობა (30 მლნ ლარი). კლება ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე მასშტაბურად არის გათვალისწინებული ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის (87 მლნ ლარი) და იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის (34 მლნ ლარი) პრიორიტეტებისათვის.

რაც შეეხება დინამიკას მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების დონეზე, 2015 წლის წარმოდგენილი კანონპროექტით, 2014 წლის წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში, ასიგნებების ზრდა გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის 24 მხარჯავი დაწესებულებისათვის (მათ შორის, 4 ახალი მხარჯავი დაწესებულება), კლების მიმართულებით იცვლება 6 მხარჯავი დაწესებულების, ხოლო 2014 წლის კანონით გათვალისწინებულ გეგმურ დონეზე შენარჩუნებული 23 მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების მოცულობა. ქვემოთწარმოდგენილია ის მხარჯავი დაწესებულებები, რომელთათვისაც 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის ასიგნებების ზრდა 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის 10%-ზე მეტი ოდენობით, ასევე გათვალისწინებულია ასიგნებების კლება.

დასახელება	2013 წლის ათვისება	2014 წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებუ ლი გეგმა	2014 წლის 8 თვის ათვისება	2014 წლის 8 თვის ათვისება (%)	2015 წლის კანონპროექ ტი (I)	2014-სა და 2015 წლის გეგმებს შორის ცვლილება	2015 წლის % ცვლილება 2014 წელთან შედარებით
18 00 სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში	761,320	800,000	511,138	63.9%	1,000,000	200,000	25.00%
21 00 დიასპორის საკითხებში საქართველოს	1,344,309	900,000	763,896	84.9%	1,000,000	100,000	11.11%

სახელმწიფო მინისტრის აპარატი								
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	95,274,933	87,000,000	31,786,528	36.5%	120,000,000	33,000,000	37.93%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	76,425,084	90,000,000	65,187,769	72.4%	100,000,000	10,000,000	11.11%
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	5,028,794	8,000,000	5,066,618	63.3%	12,000,000	4,000,000	50.00%
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	47,262,945	48,000,000	10,096,609	21.0%	60,000,000	12,000,000	25.00%
36 00	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო	143,506,853	114,600,000	83,828,066	73.1%	135,000,000	20,400,000	17.80%
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	227,429,679	263,500,000	156,111,142	59.2%	291,000,000	27,500,000	10.44%
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	20,421,216	31,000,000	17,615,928	56.8%	35,040,000	4,040,000	13.03%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	3,005,003	2,380,000	1,451,702	61.0%	3,480,000	1,100,000	46.22%
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო		600,000	405,401	67.6%	1,000,000	400,000	66.67%

ცხრილი 14. მხარჯავი დაწესებულებები, რომელთათვისაც 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის ასიგნებების ზრდა 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის 10%-ზე მეტი ოდენობით

დასახელება	2013 წლის ათვისება	2014 წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმა	2014 წლის 8 თვის ათვისება	2014 წლის 8 თვის ათვისება (%)	2015 წლის კანონპროექტი (I)	2014-სა და 2015 წლის გეგმებს შორის ცვლილება	2015 წლის % ცვლილება 2014 წელთან შედარებით
06 00 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	51,972,573	54,500,000	48,882,153	89.7%	20,000,000	-34,500,000	-63.30%
27 00 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	160,559,444	157,000,000	86,400,116	55.0%	155,000,000	-2,000,000	-1.27%
29 00 საქართველოს თავდაცვის	661,129,791	660,000,000	420,011,428	63.6%	625,000,000	-35,000,000	-5.30%

სამინისტრო								
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	6,381,494	14,600,000	5,056,782	34.6%	8,200,000	-6,400,000	-43.84%
49 00	სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	2,400,000	2,400,000	722,469	30.1%	1,200,000	-1,200,000	-50.00%
53 00	საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელეები	2,209,554,1 00	2,075,358,30 0	1,117,024,86 0	53.8%	2,032,305,300	-43,053,000	-2.07%

ცხრილი 15. მხარჯავი დაწესებულებები, რომელთათვისაც 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის ასიგნებების კლება 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებაში.

დასაგეგმი წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით, საყურადღებოა მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის შესრულების ტენდენციების განხილვა. როგორც ანალიზით ვლინდება, იმ პროგრამებთან და ქვეპროგრამებთან მიმართებაში, რომელთა შესრულება 2014 წლის განმავლობაში შედარებით დაბალი ათვისების ტენდენციას ავლენს, კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით 9 თვის დაზუსტებული გეგმის 30%-ზე ნაკლებს შეადგენს, კანონპროექტით ძირითად შემთხვევებში გათვალისწინებულია ასიგნებების შემცირება ან შენარჩუნება იმავე დონეზე (იხ. ცხრილი 16).

პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

		2014 წლის გეგმა	ათვისება 8 თვის მდგ. 9 თვის გეგმასთან	2015 წლის გეგმა	სხვაობა
24 01 03	ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის განვითარება	26,500,000.00	1.6%	21,805,000	-4,695,000
25 03 07	სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება ზემო სვანეთში (საფრანგეთის მთავრობა)	17,100,000.00	0.0%	30,750,000	13,650,000
25 04 01	ქობულეთის წყალარინების პროექტი (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ნიდერლანდების განვითარების საექსპორტო პროგრამა)	4,500,000.00	0.0%	1,000,000	-3,500,000
33 05 02	კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი	1,958,000.00	0.0%	980,000	-978,000
35 03 05	დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება	1,129,000.00	4.1%	1,000,000	-129,000
35 05	შრომის პირობების მონიტორინგის პროგრამა	600,000.00	0.0%	2,055,000	1,455,000

36 01 03	მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება, ელექტროგადამცემი ხაზებისა და გამანაწილებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა	6,500,000.00	0.9%	6,000,000	-500,000
36 04 03	220კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა (მსოფლიო ბანკი)	14,000,000.00	0.0%		-14,000,000
37 03 05	რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები	12,000,000.00	0.5%	12,000,000	0
37 03 06	ვაზის უნიკალური და იშვიათი ქართული ჯიშების აღდგენა	250,000.00	0.0%	300,000	50,000
38 01 04	ცხოველთა სამყაროს ობიექტების მონიტორინგი	150,000.00	6.4%	150,000	0
38 03 04	ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	1,000,000.00	0.0%	1,305,000	305,000
38 03 07	დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო (ეკორეგიონული პროგრამა საქართველო, ფაზა III) (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი)	600,000.00	0.8%	1,735,000	1,135,000
38 04 03	ტყისსარგებლობის ღონისძიებები	500,000.00	3.9%	500,000	0
38 04 05	ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები	750,000.00	1.1%	800,000	50,000



25 03 04	მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (აზიის განვითარების ბანკი)	100,000,000.00	24.2%	120,750,000.00	20,750,000.00
25 03 05	რეგიონალური განვითარების პროექტი I (კახეთი) (მსოფლიო ბანკი)	25,925,000.00	21.0%	16,600,000.00	-9,325,000.00
25 03 06	რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) (მსოფლიო ბანკი)	37,435,000.00	29.2%	20,400,000.00	-
25 04 03	წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი)	63,000,000.00	13.1%	57,750,000.00	-5,250,000.00
25 04 04	საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო)	9,250,000.00	13.4%	9,380,000.00	130,000.00
26 10	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	1,000,000.00	26.6%	5,000,000.00	4,000,000.00
33 03 06	სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	200,000.00	11.3%	200,000.00	0.00
34 01 03	მიგრანტთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიგრაციის მართვა	1,039,000.00	12.9%	2,509,000.00	1,470,000.00
34 02 02	იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა*	38,680,000.00	13.3%	51,097,000.00	12,417,000.00
36 03 02	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი)	29,900,000.00	22.3%	33,000,000.00	3,100,000.00

37 01 04	ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია	800,000.00	17.0%	1,000,000.00	200,000.00
37 01 06	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	6,785,000.00	15.8%	36,000,000.00	29,215,000.00
37 01 15	აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები		20.0%		0.00
37 02 02	სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი	1,216,000.00	27.3%	1,305,000.00	89,000.00
38 03 03	ეკოტურიზმის განვითარება	150,000.00	11.7%	150,000.00	0.00
38 03 06	დაცული ტერიტორიების განვითარება (კავკასიის ზუნების ფონდი)	1,170,000.00	26.0%	1,350,000.00	180,000.00

ცხრილი 16. კანონპროექტით გათვალისწინებული გეგმური მაჩვენებლები იმ პროგრამების/ქვეპროგრამებისათვის, რომელთა შესრულება მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით 9 თვის გეგმის 30%-ზე ნაკლებს შეადგენს.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, 2015 წლის კანონპროექტით ჯამური მოცულობა მცირდება მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით 43 მლნ ლარით, ძირითადად საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის პროგრამის 175 მლნ ლარის ოდენობით შემცირების გავლენით, თუმცა ამავდროულად იზრდება საშინაო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები, კერძოდ კი საპროცენტო ხარჯები 46 მლნ ლარის ოდენობით. კანონპროექტით გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების ზრდა მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით 54.1 მლნ ლარის ოდენობით და აღნიშნული მაჩვენებელი 850 მლნ ლარის დონეზეა განსაზღვრული, ანალოგიურად 50 მლნ ლარის ოდენობით იზრდება და 300 მლნ ლარის ოდენობითაა განსაზღვრული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი. რაც შეეხება სარეზერვო ფონდებს, 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით გათვალისწინებულია პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობის შენარჩუნება 5 მლნ ლარის დონეზე, თუმცა მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით 20 მლნ ლარით იზრდება და 70 მლნ ლარის დონეზეა განსაზღვრული მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ არსებული კანონმდებლობით, მთავრობის მიერ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების პროგრამებს შორის გადანაწილების ლიმიტი განსაზღვრული არ არის.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დინამიკა

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 1,320 მლნ ლარის დონეზე, რაც მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებელზე 19.3%-ით ნაკლებია. აღნიშნული უკავშირდება საშინაო ვალდებულებებისა (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) და

საგარეო ვალდებულებების (სესხები) მუხლით შემოსულობების შემცირებას, შესაბამისად 200 მლნ-თა და 116 მლნ ლარის ოდენობით. ანალოგიურ ტენდენციას ავლენს ვალდებულებების კლების კომპონენტი, რომელიც 188 მლნ ლარით მცირდება, ძირითადად საგარეო ვალდებულებების დაფარვის შემცირების გავლენით.

კერძოდ, საგარეო ვალდებულებებთან მიმართებაში, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით, საგარეო ვალდებულებების ზრდა განსაზღვრულია 920 მლნ ლარის დონეზე, რაც 2014 წლის საბიუჯეტო კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელზე 116 მლნ ლარით (11.2%) ნაკლებია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ 2014 წლის 8 თვის მდგომარებით საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შესრულება წლიური გეგმის მხოლოდ 23.9%-ს შეადგენს. ანალოგიურად კლების ტენდენციით ხასიათდება საგარეო ვალდებულებების კლება, რომელიც 2015 წლისათვის 346 მლნ ლარითაა განსაზღვრული და მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებელზე 186 მლნ ლარით (34.9%) ნაკლებია.

საგარეო ვალდებულებების დინამიკა (ათასი ლარი)

	შესრულება		საპროგნოზო მაჩვენებლები			
	2013 წ.	2014 წ. 8 თვე	წლიური გეგმა, 2014 წლის საბიუჯეტო ოფისი	პროექტი 2015	რაოდენობრივი ცვლილება წინა წელთან	%-ული ცვლილება წინა წელთან
საგარეო ვალდებულებების ზრდა	588,361	247,336	1,036,000	920,000	-116,000	-11.2%
საგარეო ვალდებულებების კლება	454,216	313,464	532,000	346,029	-185,971	-35.0%

ცხრილი 17. სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალდებულებების დინამიკა

სახელმწიფო ვალის შესახებ თანდართული ინფორმაციის მიხედვით, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების მიღებას 680 მლნ ლარის ოდენობით. ასევე მსოფლიო ბანკის განვითარების პოლიტიკის ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია 155 მლნ ლარისა და სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი 85 მლნ ლარის ოდენობით ბიუჯეტის მხარდასაჭერად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით გაფორმებული (და სახელმწიფო ვალის მართვისა და ფინანსური ანალიზის სისტემაში რეგისტრირებული) ხელშეკრულებების საფუძველზე 2015 წლისათვის ჩამოსარიცხი სახსრების ჯამური

მოცულობა შეადგენს 717,156 ათას ლარს, ზემოაღნიშნულ 717,156 მლნ ლარის ოდენობაში გათვალისწინებულია 2014 წლის ივლისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ „Stand-By Arrangement (SBA)“-ის ფარგლებში საქართველოსათვის გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი ახალი საკრედიტო რესურსის- 100 მლნ სპეციალური ნასესხობის უფლების(155 მლნ აშშ დოლარის) ოდენობიდან 2015 წლისათვის ჩამოსარიცხი სახსრების მიღება 20 მლნ სპეციალური ნასესხობის უფლების ოდენობით. გარდა ზემოაღნიშნულისა, როგორც უკვე აღინიშნა, ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებულია 2014 წლის 9 ივლისის ხელშეკრულებების საფუძველზე კონკურენტუნარიანობისა და ზრდის განვითარების პოლიტიკის მესამე ღონისძიების დაფინანსების ფარგლებში განვითარების საერთაშორისო ასოციაციისა და განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკი) მიერ საქართველოსათვის გამოსაყოფი საფინანსო რესურსის მოცულობა: 7.804 მლნ ნასესხობის სპეციალურ უფლებისა და 6.846 მლნ ნასესხობის სპეციალურ უფლების ოდენობით და 70 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულებების მიხედვით აღნიშნული სახსრების ათვისება მოხდება 2014-2015 წლებში.

რაც შეეხება სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვას, ჯამურად, საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 545 მლნ ლარი, საიდანაც 345 მლნ ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 200 მლნ ლარი - პროცენტის თანხას.



პარლამენტის
სახელმწიფო ადმინისტრაცია

საშინაო ვალდებულებების დინამიკა (ათასი ლარი)


	შესრულება		გეგმური	მაჩვენებლები		
	2013 წ.	2014 წ. 8 თვე	წლიური გეგმა, 2014	პროექტი , 2015	რაოდენობრივი ცვლილება წელთან	%-ული ცვლილება წინა წელთან
საშინაო ვალდებულებების ზრდა	149,531	483,875	600,000	400,000	-200,000	-33.3%
საშინაო ვალდებულებების კლება	59,649	33,119	66,081	63,194	-2,887	-4.4%

ცხრილი 18. სახელმწიფო ბიუჯეტის საშინაო ვალდებულებების დინამიკა



როგორც უკვე აღინიშნა, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით, დაგეგმილია საშინაო ვალდებულებების ზრდის (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) მუხლით შემოსულობების შემცირება. კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებელი 400 მლნ ლარითაა განსაზღვრული და მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით 200 მლნ ლარით მცირდება. კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით

უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის 200 მლნ ლარის ოდენობით სახაზინო ობლიგაციებისა და ვალდებულებების გამოყენება, რაც 2014 წლის ბიუჯეტის კანონით იყო გაწერილი (თავი 8, მუხლი 21, პუნქტები 7,8).

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულების ცვლილებას არა უმეტეს 400 მლნ ლარის წმინდა ზრდით, რაც აღრიცხვის არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით, ითვალისწინებს 2015 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების ზრდას 897 მლნ ლარის, ხოლო დაფარვას – 497 მლნ ლარის ოდენობით. საშინაო ვალდებულებების კლების მუხლი 35 მლნ ლარის ოდენობით, თვის მხრივ, ასახავს სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) – 35 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად.



კანონპროექტით, 2015 წლისათვის სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა 11,341.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 931.4 მლნ ლარით აღემატება. ნომინალურ გამოსახულებაში ზრდა ძირითადად საგარეო ვალის კომპონენტის ზრდაზე (14%-ით) მოდის. მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში ვალის კოეფიციენტი 34.7%-იდან 35.6%-მდე იზრდება, თუმცა მცირედით იცვლება სახელმწიფო ვალის სტრუქტურა, კერძოდ, მცირდება სახელმწიფო საგარეო ვალის კოეფიციენტი მშპ-სთან მიმართებაში 27.2 %-დან 26.8%-მდე, რაც თავის მხრივ, შესაბამისობაშია მთავრობის სტრატეგიასთან მოახდინოს ვალის სტრუქტურის დაბალანსება დენომინაციის ვალუტის მიხედვით, რაც მიზნად ისახავს შეამციროს გაცვლითი კურსის მერყეობასთან დაკავშირებული შესაძლო ნეგატიური ზეგავლენა სახელმწიფო ფინანსებზე (საყურადღებოა, რომ აღნიშნული კოეფიციენტები გაიანგარიშება ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს მაკროეკონომიკური აგრეგატების საფუძვლიანობის მნიშვნელობას).





ანგარიშგების გაუმჯობესებისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით პოზიტიურად უნდა შეფასდეს ვალის შესახებ ინფორმაციის ამსახველი კვარტლური ბიულეტენების დანერგვა, რომელიც განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ასევე პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გასული წლის მსგავსად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს თან ერთვის დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ. კერძოდ, მოცემულია ინფორმაცია, საგარეო ვალდებულებების პორტფელის სტრუქტურის შესახებ ვალდებულებების ვადიანობის, საპროცენტო განაკვეთის ტიპისა და დენომინაციის ვალუტის მიხედვით. თუმცა გასული წლისაგან განსხვავებით აღნიშნული დანართი ამ ეტაპზე არ მოიცავს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებზე, ან სახელმწიფო ვალის მოცულობაზე რისკ-ფაქტორებზე შესაძლოა ზეგავლენის შესახებ ინფორმაციას, რაც საბიუჯეტო კოდექსში ინიცირებული ცვლილების შესაბამისად, სავარაუდოდ, წარმოდგენილ იქნება ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის ფარგლებში (აღნიშნული ინფორმაცია, კანონპროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის მიხედვით წარმოდგენილი იქნება 2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის მესამე წარდგენისას).

ძირითადი ფისკალური ინდიკატორების დინამიკა

როგორც წარმოდგენილი კანონპროექტის ანალიზით ვლინდება, მომდევნო წლისათვის დაგეგმილია ბიუჯეტის მთლიანი და საოპერაციო სალდოს გაუმჯობესება, როგორც ნომინალურ გამოსახულებაში, ისე %-ად მშპ-სთან⁹, რაც საშუალოგადიანი ფისკალური მდგრადობისა და ფისკალური დისციპლინის კუთხით პოზიტიურად უნდა შეფასდეს. კერძოდ, 2014 წლის ბიუჯეტის კანონით ბიუჯეტის მთლიანი სალდო განსაზღვრულია -221 მლნ ლარის დონეზე, ხოლო წარმოდგენილი კანონპროექტით აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება 39 მლნ ლარის დონემდე. ანალოგიურ ტენდენცია ვლინდება მთლიანი სალდოსათვის, რომელიც 228 მლნ ლარით უმჯობესდება და მშპ-ს -3.0%-დან მშპ-ს -2.0%-მდე


⁹ მშპ-სთან მიმართებაში მაჩვენებლების კალკულაციისას გამოყენებულია კანონპროექტზე თანდართული BDD-ის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებლები 2014 და 2015 წლებისათვის.

იზრდება. ზემოაღნიშნული მაჩვენებლები, თავის მხრივ, შეესაბამება საკანონმდებლო დონეზე („ეკონომიკური თავისუფლების აქტით“) განსაზღვრულ ბიუჯეტის დეფიციტის 3%-იან ლიმიტს.




გარდა ამისა, საყურადღებოა, ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების სპეციფიკა. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის 1986 წლის სტანდარტების შესაბამისად გაანგარიშებული 2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის წინასწარი მაჩვენებელი 3.9%-ს, ხოლო 2015 წლისათვის - 2.9%/3%-ს შეადგენს. ამავდროულად, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტი განსაზღვრულია როგორც ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ხოლო ბიუჯეტის შესახებ არსებული კანონი დგება და შესაბამისად, ბიუჯეტის არსებული მთლიანი სალდო გამოითვლება საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სტანდარტებზე (GFSM 2001) დაყრდნობით. ხოლო აღნიშნული სტანდარტების მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2014 წლისათვის 3%-ს, ხოლო 2015 წლისათვის 2.0%-ს უტოლდება. არსებული თავისებურების გათვალისწინებით, საშუალოვადიანი ფისკალური მდგრადობისა და ბიუჯეტის პარამეტრების საკანონმდებლო

დონეზე განსაზღვრულ ფისკალურ ლიმიტებთან შესაბამისობის შესაფასებლად აუცილებელია განხილულ იქნას ორივე კლასიფიკაციით გაანგარიშებული ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის დინამიკა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ, განსხვავებული კლასიფიკაციით გაანგარიშებისას შესაძლებელია განსხვავებული სურათი იქნას წარმოდგენილი, ამასთან ფისკალური პოლიტიკის ანალიზისათვის უფრო მისაღებ ინდიკატორად საჯარო ფინანსების სტატისტიკის 1986 წლის სტანდარტების შესაბამისად გაანგარიშებული მთლიანი ფისკალური ბალანსი მიიჩნევა.



დიაგრამა. ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკა განსახვევებული კლასიფიკაციით გაანგარიშებისას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური მდგომარეობის სრულყოფილად შესაფასებლად, მიზანშეწონილია სხვა ფისკალური ინდიკატორების გამოყენება.



დიაგრამა. საბაზისო სცენარი(ციკლურად კორექტირებული და სტრუქტურული ბალანსის მაჩვენებლები გაანგარიშებულია %-ად პოტენციურ მშპ-სთან). წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

წარმოდგენილ დიაგრამაზე ასახულია მთლიანი ფისკალური ბალანსის (Overall fiscal balance), ციკლურად კორექტირებული პირველადი ბალანსის (Cyclically adjusted primary balance), სტრუქტურული პირველადი ბალანსის (Structural primary balance) მოსალოდნელი დინამიკა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაანგარიშებაზე დაყრდნობით. ბიუჯეტის სტრუქტურული ბალანსი ასახავს მთავრობის დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულებას ეკონომიკური აქტივობის ციკლის ანუ ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების ეფექტისა და ერთჯერადი და დროებითი ფაქტორების გამორიცხვით¹⁰, შესაბამისად, ფისკალური ბალანსის დეკომპოზიცია სტრუქტურულ და ციკლურ კომპონენტებად იძლევა საშუალებას შეფასდეს, ეკონომიკური ციკლის (მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრის) და მთავრობის ფისკალური პოლიტიკის გავლენა ბიუჯეტის არსებულ ბალანსზე.

ფისკალური მდგრადობის ანალიზის კუთხით საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით¹¹, საბაზისო¹² სცენარის შემთხვევაში, რაც გულისხმობს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არსებული სცენარით განვითარებას და დაგეგმილი ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებას, მთლიანი ნომინალური სახელმწიფო ვალის ტვირთი ავლენს შემცირების ტენდენციას და 2019 წლისათვის უახლოვდება მშპ-ს 31.1%-ს, ხოლო ისტორიული¹³ და პირველადი ბალანსის უცვლელობის¹⁴ სცენარების შემთხვევაში მოსალოდნელი იქნება სახელმწიფო ვალის ზრდა მშპ-ს 34%-35%-მდე საშუალოვადიან პერიოდში. ამავდროულად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, სახელმწიფო ვალის დონის სტაბილიზებისათვის საჭირო პირველადი ბალანსის ფარდობა მშპ-სთან -2.1%-ს შეადგენს (აღნიშნულ საკითხზე დეტალურად, იხ. მოკლე მეთოდოლოგიური განმარტება „ფისკალური მდგრადობის შესახებ“, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2014 წ.)

¹⁰ სტრუქტურული ბალანსის დადგენა გულისხმობს, პირველ რიგში, ფაქტობრივი მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრის გამოთვლას, შემდეგ აღნიშნული გადახრის მიმართ ბიუჯეტის ელასტიურობის მაჩვენებლის გამოყენებით ბიუჯეტის დეფიციტის ციკლური კომპონენტის შეფასებას. სტრუქტურული ბალანსი წარმოადგენს სხვაობას ბიუჯეტის მთლიან სალდოსა და ბიუჯეტის ციკლურ კომპონენტს შორის. შედარებისათვის, 2012 წლის 1 მაისს ევროკავშირის ქვეყნების მიერ ხელმოწერილი „ფისკალური პაკტი“ ნაერთი ბიუჯეტის სალდოსთან ერთად განსაზღვრავს სტრუქტურული ბიუჯეტის მინიმალურ ლიმიტს მშპ-ს 0.5%-ის დონეზე. დაბალი სავალო ტვირთისა და მდგრადი სახელმწიფო ფინანსების მქონე ქვეყნებისათვის აღნიშნული ლიმიტი მშპ-სთან მიმართებაში 1%-ს შეადგენს.

¹¹ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მოხსენება, აგვისტო, 2014; წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2014/cr14250.pdf>

¹² საბაზისო სცენარი გულისხმობს დასაკვირვებელი ცვლადების ცვლილებას რეალური მშპ-ს 5% ზრდისა და 5%-იანი ინფლაციის უცვლელობის პირობებში.

¹³ ისტორიული სცენარი გულისხმობს დასაკვირვებელი ცვლადების ისტორიული საშუალოს დონეზე შენარჩუნებას, რაც რეალური მშპ-ს 5.9 %-ს, პირველადი ბალანსისათვის -2.2%-ს შეადგენს 5% ინფლაციის უცვლელობის პირობებში.

¹⁴ პირველადი ბალანსის უცვლელობის სცენარი გულისხმობს დასაკვირვებელი ცვლადების ცვლილებას პირველადი ბალანსის დეფიციტის უცვლელობის პირობებში.

დანართი 1.

	2012	2013	2012-2013 წწ.		2014-2015				
	შესრულება	შესრულება	სხვაობა ნომინალურ გამოსახულებაში	ზრდის ტემპი %-ად	2014 გეგმა	აგვისტო	2015	სხვაობა ნომინალურ გამოსახულებაში	
შემოსულობები	7,992,706	7,694,824	-297,882	-4%	9,105,000	5,494,182	60%	9,400,000	295,000
შემოსავლები	7,115,329	6,839,494	-275,836	-4%	7,319,000	4,660,103	64%	7,930,000	611,000
გადასახადები	6,311,078	6,287,685	-23,393	0%	6,820,000	4,373,399	64%	7,460,000	640,000
გრანტები	269,635	238,861	-30,774	-11%	144,000	127,255	88%	180,000	36,000
სხვა შემოსავლები	534,616	312,947	-221,669	-41%	355,000	159,449	45%	290,000	-65,000
არაფინ.აქტივების კლება	80,224	77,515	-2,709	-3%	80,000	52,546	66%	80,000	0
ფინანსური აქტივების კლება	48,944	39,924	-9,019	-18%	70,000	50,322	72%	70,000	0
ვალდებულებების ზრდა	748,209	737,891	-10,318	-1%	1,636,000	731,211	45%	1,320,000	-316,000
გადასახდელები	7,806,802	8,104,218	297,416	4%	9,080,000	5,352,006	59%	9,350,000	270,000
ხარჯები	6,566,316	6,545,615	-20,701	0%	7,539,613	4,575,477	61%	7,891,025	351,412
შრომის ანაზღაურება	1,049,425	1,187,570	138,144	13%	1,318,054	838,987	64%	1,372,434	54,381

საქონელი და მომსახურება	1,060,947	765,801	-295,146	-28%	853,836	533,559	62%	912,172	58,336
პროცენტი	248,338	233,043	-15,295	-6%	305,047	158,621	52%	360,106	55,059
სუბსიდიები	253,101	242,552	-10,549	-4%	241,623	145,423	60%	204,466	-37,157
გრანტები	1,210,722	1,083,320	-127,402	-11%	1,111,779	630,468	57%	1,171,553	59,774
სოციალური უზრუნველყოფა	1,710,301	2,083,044	372,742	22%	2,581,394	1,652,493	64%	2,653,043	71,649
სხვა ხარჯები	1,033,480	950,285	-83,195	-8%	1,127,881	615,924	55%	1,217,251	89,370
არაფინანსური აქტივების ზრდა	728,466	767,632	39,167	5%	734,125	326,976	45%	765,662	31,536
ფინანსური აქტივების ზრდა	372,654	277,105	-95,549	-26%	208,180	102,969	49%	284,090	75,910
ვალდებულებების კლება	139,366	513,865	374,499	269%	598,081	346,583	58%	409,223	-188,858

დანართი 2. საგადასახადო შემოსავლების სენსიტიურობა მაკროცვლადების ოფიციალური პროგნოზებისაგან გადახრის მიმართ განსხვავებული სცენარებისათვის (აღნიშნული ანალიზი არ ისახავს მიზნად მაკროცვლადების ქვემოთმოცემული სცენარების რეალიზაციის ალბათობის შეფასებას და ასახავს მხოლოდ საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებით საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი ცვლილებების მიმართულებასა და სიდიდეს მაკროცვლადების ცვლილებების შემთხვევაში).

ცხრილი 1. საგადასახადო შემოსავლების სენსიტიურობა მაკროცვლადების ოფიციალური პროგნოზებისაგან 0.5%-ით გადახრის მიმართ

1.1 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 0.5%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,432,000	-155,399	-2.0%	7,455,000	-132,399	-1.7%	7,718,000	130,601	1.7%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,194,000	-3,399	-0.2%	1,961,000	-236,399	-10.8%	2,189,000	-8,399	-0.4%
მოგების გადასახადი	906,000	922,000	16,000	1.8%	1,002,000	96,000	10.6%	871,000	-35,000	-3.9%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,412,000	-122,000	-3.5%	3,592,000	58,000	1.6%	3,672,000	138,000	3.9%
აქციზი	808,000	762,000	-46,000	-5.7%	759,000	-49,000	-6.1%	845,000	37,000	4.6%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1.2 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 0.5%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,311,000	-276,399	-3.6%	7,391,000	-196,399	-2.6%	7,651,000	63,601	0.8%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,153,000	-44,399	-2.0%	1,943,000	-254,399	-11.6%	2,169,000	-28,399	-1.3%
მოგების გადასახადი	906,000	914,000	8,000	0.9%	993,000	87,000	9.6%	864,000	-42,000	-4.6%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,347,000	-187,000	-5.3%	3,558,000	24,000	0.7%	3,637,000	103,000	2.9%
აქციზი	808,000	755,000	-53,000	-6.6%	756,000	-52,000	-6.4%	840,000	32,000	4.0%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 3 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 0.5%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,429,000	-158,399	-2.1%	7,454,000	-133,399	-1.8%	7,715,000	127,601	1.7%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,194,000	-3,399	-0.2%	1,962,000	-235,399	-10.7%	2,189,000	-8,399	-0.4%
მოგების გადასახადი	906,000	922,000	16,000	1.8%	1,002,000	96,000	10.6%	871,000	-35,000	-3.9%
დამატებული	3,534,000	3,412,000	-122,000	-3.5%	3,592,000	58,000	1.6%	3,672,000	138,000	3.9%

ღირებულების გადასახადი										
აქციონი	808,000	759,000	-49,000	-6.1%	757,000	-51,000	-6.3%	842,000	34,000	4.2%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 4 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 0.5%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,295,000	-292,399	-3.9%	7,392,000	-195,399	-2.6%	7,651,000	63,601	0.8%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,152,000	-45,399	-2.1%	1,943,000	-254,399	-11.6%	2,168,000	-29,399	-1.3%
მოგების გადასახადი	906,000	914,000	8,000	0.9%	993,000	87,000	9.6%	863,000	-43,000	-4.7%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,347,000	-187,000	-5.3%	3,558,000	24,000	0.7%	3,637,000	103,000	2.9%
აქციონი	808,000	740,000	-68,000	-8.4%	757,000	-51,000	-6.3%	842,000	34,000	4.2%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 5 პროგნოზის გადახრა ბიუჯეტის გეგმიდან თუ რეალური მშპ-ს ზრდის და ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზს 0.5%-ით გადააჭარბებს

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*		2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**		3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***	
--	-----------------------	---	--	---	--	---	--

		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,490,000	-97,399	-1.3%	7,487,000	-100,399	-1.3%	7,751,000	163,601	2.2%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,215,000	17,601	0.8%	1,971,000	-226,399	-10.3%	2,200,000	2,601	0.1%
მოგების გადასახადი	906,000	926,000	20,000	2.2%	1,006,000	100,000	11.0%	875,000	-31,000	-3.4%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,445,000	-89,000	-2.5%	3,610,000	76,000	2.2%	3,690,000	156,000	4.4%
აქციონი	808,000	762,000	-46,000	-5.7%	759,000	-49,000	-6.1%	845,000	37,000	4.6%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 6 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 0.5%-ით, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი ნაკლები იქნება ოფიციალურ პროგნოზზე 0.5%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,375,000	-212,399	-2.8%	7,425,000	-162,399	-2.1%	7,686,000	98,601	1.3%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,173,000	-24,399	-1.1%	1,952,000	-245,399	-11.2%	2,179,000	-18,399	-0.8%
მოგების გადასახადი	906,000	918,000	12,000	1.3%	998,000	92,000	10.2%	867,000	-39,000	-4.3%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,380,000	-154,000	-4.4%	3,575,000	41,000	1.2%	3,654,000	120,000	3.4%

აქციზი	808,000	762,000	-46,000	-5.7%	759,000	-49,000	-6.1%	845,000	37,000	4.6%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1.7 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი და ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 0.5%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა ა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა ა (ათასი ლარი)	გადახრა ა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,253,000	-334,399	-4.4%	7,361,000	-226,399	-3.0%	7,619,000	31,601	0.4%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,131,000	-66,399	-3.0%	1,934,000	-263,399	-12.0%	2,158,000	-39,399	-1.8%
მოგების გადასახადი	906,000	910,000	4,000	0.4%	989,000	83,000	9.2%	860,000	-46,000	-5.1%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,315,000	-219,000	-6.2%	3,541,000	7,000	0.2%	3,620,000	86,000	2.4%
აქციზი	808,000	755,000	-53,000	-6.6%	756,000	-52,000	-6.4%	840,000	32,000	4.0%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1.8 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 0.5%-ით, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზს 0.5%-ით გადააჭარბებს

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა ა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა ა (ათასი ლარი)	გადახრა ა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)

საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,215,000	17,601	0.8%	1,971,000	-226,399	-10.3%	2,200,000	2,601	0.1%
მოგების გადასახადი	906,000	925,000	19,000	2.1%	1,006,000	100,000	11.0%	875,000	-31,000	-3.4%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,444,000	-90,000	-2.5%	3,609,000	75,000	2.1%	3,689,000	155,000	4.4%
აქციზი	808,000	766,000	-42,000	-5.2%	761,000	-47,000	-5.8%	847,000	39,000	4.8%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 2 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,251,000	-336,399	-4.4%	7,359,000	-228,399	-3.0%	7,617,000	29,601	0.4%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,132,000	-65,399	-3.0%	1,934,000	-263,399	-12.0%	2,158,000	-39,399	-1.8%
მოგების გადასახადი	906,000	910,000	4,000	0.4%	989,000	83,000	9.2%	860,000	-46,000	-5.1%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,315,000	-219,000	-6.2%	3,541,000	7,000	0.2%	3,620,000	86,000	2.4%
აქციზი	808,000	752,000	-56,000	-6.9%	754,000	-54,000	-6.7%	838,000	30,000	3.7%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 3 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 1%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,487,000	-100,399	-1.3%	7,486,000	-101,399	-1.3%	7,748,000	160,601	2.1%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,215,000	17,601	0.8%	1,971,000	-226,399	-10.3%	2,200,000	2,601	0.1%
მოგების გადასახადი	906,000	926,000	20,000	2.2%	1,007,000	101,000	11.1%	875,000	-31,000	-3.4%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,445,000	-89,000	-2.5%	3,610,000	76,000	2.2%	3,690,000	156,000	4.4%
აქციზი	808,000	759,000	-49,000	-6.1%	757,000	-51,000	-6.3%	842,000	34,000	4.2%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 4 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,257,000	-330,399	-4.4%	7,361,000	-226,399	-3.0%	7,621,000	33,601	0.4%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,131,000	-66,399	-3.0%	1,933,000	-264,399	-12.0%	2,158,000	-39,399	-1.8%
მოგების გადასახადი	906,000	910,000	4,000	0.4%	989,000	83,000	9.2%	860,000	-46,000	-5.1%

დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,315,000	-219,000	-6.2%	3,541,000	7,000	0.2%	3,620,000	86,000	2.4%
აქციზი	808,000	759,000	-49,000	-6.1%	757,000	-51,000	-6.3%	842,000	34,000	4.2%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 5 პროგნოზის გადახრა ბიუჯეტის გეგმიდან თუ რეალური მშპ-ს და ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზს 1%-ით გადააჭარბებს

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,611,000	23,601	0.3%	7,551,000	-36,399	-0.5%	7,816,000	228,601	3.0%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,257,000	59,601	2.7%	1,990,000	-207,399	-9.4%	2,221,000	23,601	1.1%
მოგების გადასახადი	906,000	934,000	28,000	3.1%	1,015,000	109,000	12.0%	882,000	-24,000	-2.6%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,512,000	-22,000	-0.6%	3,644,000	110,000	3.1%	3,725,000	191,000	5.4%
აქციზი	808,000	766,000	-42,000	-5.2%	761,000	-47,000	-5.8%	847,000	39,000	4.8%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 6 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზს 1%-ით, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი ნაკლები იქნება ოფიციალურ პროგნოზზე 1%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)

		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,375,000	-212,399	-2.8%	7,427,000	-160,399	-2.1%	7,688,000	100,601	1.3%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,172,000	-25,399	-1.2%	1,952,000	-245,399	-11.2%	2,179,000	-18,399	-0.8%
მოგების გადასახადი	906,000	917,000	11,000	1.2%	998,000	92,000	10.2%	867,000	-39,000	-4.3%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,378,000	-156,000	-4.4%	3,575,000	41,000	1.2%	3,654,000	120,000	3.4%
აქციონი	808,000	766,000	-42,000	-5.2%	761,000	-47,000	-5.8%	847,000	39,000	4.8%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1.7 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი და ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,139,000	-448,399	-5.9%	7,297,000	-290,399	-3.8%	7,553,000	-34,399	-0.5%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,091,000	-106,399	-4.8%	1,915,000	-282,399	-12.9%	2,137,000	-60,399	-2.7%
მოგების გადასახადი	906,000	902,000	-4,000	-0.4%	980,000	74,000	8.2%	852,000	-54,000	-6.0%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,252,000	-282,000	-8.0%	3,507,000	-27,000	-0.8%	3,585,000	51,000	1.4%

აქციზი	808,000	752,000	-56,000	-6.9%	754,000	-54,000	-6.7%	838,000	30,000	3.7%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%

1. 8 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზს 1%-ით გადააჭარბებს

	ბიუჯეტის გეგმა (2015)	1. პროგნოზი 2013 წლის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით*			2. პროგნოზი 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაზე დაყრდნობით**			3. პროგნოზი 2014 წლის 8 თვის მონაცემების მაჩვენებელზე დაყრდნობით***		
		პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
საგადასახადო შემოსავლები	7,587,399	7,365,000	-222,399	-2.9%	7,420,000	-167,399	-2.2%	7,680,000	92,601	1.2%
საშემოსავლო გადასახადი	2,197,399	2,173,000	-24,399	-1.1%	1,952,000	-245,399	-11.2%	2,179,000	-18,399	-0.8%
მოგების გადასახადი	906,000	918,000	12,000	1.3%	998,000	92,000	10.2%	867,000	-39,000	-4.3%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,534,000	3,380,000	-154,000	-4.4%	3,575,000	41,000	1.2%	3,655,000	121,000	3.4%
აქციზი	808,000	752,000	-56,000	-6.9%	754,000	-54,000	-6.7%	838,000	30,000	3.7%
იმპორტის გადასახადი	117,000	117,000	0	0.0%	116,000	-1,000	-0.9%	116,000	-1,000	-0.9%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%	25,000	0	0.0%